№ 31
(11 180)
22 – 24 აპრილი, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პრესკონფერენცია

# მერაბ ჟორდანია: „ერთად გავარკვიოთ, რატომ არ უყვართ ზოგიერთებს თბილისის „დინამო“

## და კიდევ:

## ვადა იწურება, „მრეტები“ „დინამოსგან“ კვლავ მოითხოვს გადავადებული ვალის დაბრუნებას


მერაბ ჟორდანია

ამ პრესკონფერენციას საქართველოს საფეხბურთო სამყარო ინტერესით მოელოდა, რადგან თბილისის „დინამოს“ გარშემო ბოლო დროს ათასნაირი ტყუილ-მართალი აირია ერთმანეთში. კარგა ხანია „დინამოს“ ორი თამაში ზედიზედ არ წაუგია, ახლა კი ხმა გავრცელდა მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი გუნდიდან წავიდაო. მერაბ ჟორდანიამაც, კლუბის პრეზიდენტმა, სწორედ ამ ამბის გარშემო დაიწყო ლაპარაკი.

„მეც, თქვენსავით მაკვირვებს „დინამოს“ გარშემო ატეხილი არაჯანსაღი ვითარება და ამის ახსნა მეტად მიჭირს“ — თქვა კლუბის ხელმძღვანელმა. ფაქტობრივად გუნდი დღეს უგულშემატკივროდაა დარჩენილი. სულ ერთია, ვთამაშობთ თბილისში თუ სხვაგან, მაყურებელი მეტოქეს უჭერს მხარს. ფაქტობრივად, ბოლო ყველა თამაშს მეტოქის მინდორზე ვატარებთ. რაღაც ძალები სიტუაციას ძაბავს და ცდილობს წონასწორობიდან გამოიყვანონ ჩვენი მწვრთნელები და მოთამაშეები. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ შარშან წლის ბოლოს ქიათურაში, თუ ახლახან მცხეთაში მომხდარი ამბები?

მერაბ ჟორდანიამ განსაკუთრებული აღშფოთება გამოთქვა ქუთაისელი გულშემატკივრების ერთი ნაწილის ყოვლად უმსგავსო საქციელის გამო, რომლებმაც გინებისა და ქვების ნიაღვარი დაატეხეს „დინამოს“ მცხეთის სტადიონზე. და რაც ყველაზე სამწუხაროა, ასეთ ხულიგნურ საქციელს გამართლება მოუძებნა იმერეთის გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა. ამდაგვარი ქმედება დიდი თანამდებობის პირს ნამდვილად არ ეპატიება (სხვათა შორის, ასევე უარყოფითად შეაფასა გუბერნატორის მოქმედება პრესკონფერენციაში მონაწილე ბევრმა ჟურნალისტმა). ჟორდანიას განცხადებით, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა ძალიან ემოციურად, გულთან ახლოს მიიტანა მომხდარი ამბავი, რის შედეგადაც მკვეთრად გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. იგი ახლა შინ წევს და მკურნალობას საჭიროებს. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დავით ყიფიანმა თავისი ფუნქციები დროებით გადასცა ნოდარ აკობიას, რომელიც სეზონს ჩაამთავრებს (ახალი მწვრთნელის გუნდში მოყვანა მიზანშეუწონლად ჩაითვალა). ჟორდანიას განცხადებით, აკობიას კლუბის დირექტორატი სრულ ნდობას უცხადებს და მის ფუნქციებში არ ჩაერევა. დაე, ყველამ იცოდეს, რომ არანაირი უთანხმოება კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელებს შორის არ არსებობს, ჩვენ ყოველთვის დიდ პატივს ვცემთ დავით ყიფიანს, იგი ქართულ ფეხბურთში დიდი ფიგურაა და მის თავს არავის დავაჩაგვრინებთო, ხაზი გაუსვა ჟორდანიამ. ამასთან, კლუბის პრეზიდენტმა სინანული გამოთქვა, რომ გუნდის ზოგიერთი ფეხბურთელი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში ბოლომდე არ იხარჯება და ინერტულად თამაშობს. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრების გიორგი კიკნაძისა და ლევან ცქიტიშვილისაგან გაცილებით მეტს მოვითხოვთ, ვიდრე სხვა ახალგაზრდა მოთამაშეებისაგან. ამიტომ მათთან სერიოზული საუბარი გვექნება, ისევე როგორც ალეკოსთან — გოგობერიშვილსა და გელაძესთან, რომლებმაც სპორტული რეჟიმი დაარღვიეს და ამჟამად დასჯილები არიან.

საერთო დაინტერესება გამოიწვია ერთ-ერთი დამსწრის ინფორმაციამ — თურმე, სფფ-ს ამ დღეებში მიუღია შეტყობინება უეფადან იმის თაობაზე, რომ თუ „დინამომ“ 20 მაისამდე „მრეტების“ ვალი (875 ათასი აშშ დოლარი) არ გადაიხადა, ყველა ქართული კლუბი მოიხსნება წლევანდელი ევროტურნირებიდან. ამაზე ჟორდანიამ უპასუხა, რომ „დინამო“ — „მრეტების“ კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები ჯერ კიდევ არსებობს და ამ მიმართებით მუშაობა გრძელდება.

ჟურნალისტებმა ბევრი სხვა საინტერესო ამბების შესახებაც შეიტყვეს. მაგალითად, კლუბის ხელმძღვანელობა ზედმიწევნით ზრუნავს გუნდის შემადგენლობის გასაძლიერებლად, ვინაიდან ჩემპიონთა ლიგის ახალი გათამაშება კარსაა მომდგარი. არსებობს კარგი პერსპექტივები, რათა „დინამო-

იხ. მე-3 გვ.

### „ცხუმი“ აღორძინდება

სპორტულმა ჟურნალისტმა თენგიზ პაჭკორიამ გვაცნობა, რომ გაიმართა საფეხბურთო კლუბ სოხუმის „ცხუმის“ გამგეობის სხდომა. გადაწყდა, რომ მომავალი სეზონიდან საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზებს „ცხუმის“ ახალგაზრდული შემადგენლობა, მომავალში კი კვლავ აღორძინდება სოხუმის კლუბის ძირითადი გუნდი. ეს ამბავი რომ შეიტყო, თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ „ცხუმს“ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. კონკრეტულად, თუ რაში დაეხმარება „დინამო“ აღორძინებულ გუნდს, მალე შევიტყობთ.

### საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**ბომბარდირები:**

ლევან ხომერიკი — დინამო (თბ) — 16

პაატა მაჭუტაძე — დინამო (ბთ) — 13

ჯუმბერ კალანდაძე — ოდიში — 13

გია მეგრელაძე — ტორპედო — 13

დავით მუჯირი — დინამო (თბ) — 13

ჭადრაკი • ქალები

საქართველოს ჩემპიონატი

### სამი ლიდერი

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის დასასრულს უახლოვდება, მაგრამ რაიმე გარკვეულის თქმა მოსალოდნელი შედეგების შესახებ ჯერჯერობით შეუძლებელია.

ბოლო ტურებში შეჯიბრებაში მონაწილე ერთადერთი დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი საგრძნობლად შეფერხდა. მეხუთე ტურის წინ მას ასპროცენტიანი შედეგი ჰქონდა, მაგრამ მეხუთეში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ ნატო ეძგვერაძესთან, მეექვსეში კი წააგო საერთაშორისო ოსტატ სოფიკო ნიკოლაძესთან და დაკარგა ლიდერობა.

ამის შემდეგ პირველ-მეორე ადგილებზე გავიდნენ ნატო ეძგვერაძე და სოფიკო ნიკოლაძე. ამის შემდეგ დიდი ინტერესი გამოიწვია მათმა გუშინდელმა შეხვედრამ, რომელიც ყაიმით დასრულდა. ამრიგად, მათ 5,5-5,5 ქულა გაუხდათ.

მათ შეეძლო დასწეოდა ლომინეიშვილი, რომელიც შავებით ეთამაშებოდა ნორჩ გვეტაძეს. დიდოსტატმა შესწირა ხარისხი და შემდგომ მწვავე ბრძოლაში გაიმარჯვა კიდეც. ამრიგად, ლომინეიშვილსაც 5,5 ქულა აქვს. 5-5 ქულა მოაგროვეს მათნაძემ, რომელმაც დაამარცხა ლელა ჯავახიშვილი და წურწუმიამ, რომელმაც ხურცილავას მოუგო.



### ახლოვდება „მცირე ოლიმპიადა“

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ წლევანდელ ივლისში მოსკოვში პირველი მსოფლიო ჭაბუკთა თამაშები გაიმართება. ადრე გამოცხადებული იყო, რომ 6 ათას მონაწილეს მოელიან. უდალცოვის ქუჩაზე სწორედ ასეთი რაოდენობიდან გამომდინარე შენდებოდა ახალი ოლიმპიური სოფელი.

ახლახანს, მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ განაცხადი თამაშებში მონაწილეობაზე უკვე 10500-ზე მეტ სპორტსმენზეა.

„ნორჩი ოლიმპიელებისათვის“ უარის თქმა უხერხულია, ამიტომ თამაშების ორგანიზატორებს მოუწევთ შეჯიბრებების მოსამზადებელი გეგმების გადასინჯვა. მათ თავიდან უნდა გადაწყვიტონ მონაწილეთა დაბინავებისა და მომსახურების პრობლემები“ — აღნიშნა რუსეთის დელეგაციის თავკაცმა.

მსოფლიო ჭაბუკთა თამაშებში სპორტსმენთა თითქმის გაორკეცებულ რიცხვს 125 ქვეყნის წარმომადგენლები შეადგენენ, მათ შორის საქართველოც იქნება.

# გზა დავულოცოთ ქართული სპორტის რჩეულთ!

### ძალოსნობა



როგორც იქნა გიორგი ასანიძის სანქციის (დოპინგის მიღებისათვის) ვადები ამოიწურა და ამ ათლეტს კვლავ დართეს ოფიციალური შეჯიბრებების ფიცარნაგზე გამოსვლის უფლება. ასანიძე თავის მწვრთნელთან ვანო გრიქუროვთან (იგი კარგა ხანია პოლონეთში მუშაობს) ვარშავაში ვარჯიშობდა. ამ თვის ბოლოს ოსტატი და შეგირდი გერმანიაში ჩავლენ, სადაც ასანიძე საქართველოს სახელით იასპარეზებს

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



ჩვენი ეროვნული ნაკრები, მოსკოვის გავლით, მინსკში გაემგზავრა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის. 54 კგ. წონით კატეგორიაში მონაწილე არ გვეყოლება, 58 კგ-ში კობა გულიაშვილი იასპარეზებს (შეგახსენებთ, რომ იგი IV იყო ატლანტაში, ოლიმპიურ თამაშებში), 63 კგ-ში გამოვა შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი აკაკი ჩაჩუა, შინ დარჩა გიორგი ჯინჭველაშვილი (69 კგ) და ამ წონაში ტარიელ მელელაშვილი დააყენეს მწვრთნელებმა, 76 კგ-ში ჩემპიონატის მედლის კანდიდატად მიიჩნევენ ხვიჩა ბიჩინაშვილს, 85 კგ-ში ემზარ მახარაძე გავა ხალიჩაზე, 97 კგ-ში – გიორგი სილაგაძე, რომელიც ევროპის ჩემპიონატში პირველად იასპარეზებს, მირიან გიორგაძე კი მძიმე წონაში მეორედ ცდის ბედს.

ჩვენს ნაკრებს გაჰყვნენ მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია, მწვრთნელი ოთარ ტატიშვილი, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თემურ ყაზარაშვილი და თბილისის სპორტის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა.

### თავისუფალი ჭიდაობა

ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ბორჯომში ემზადება. 4 მაისს გუნდი ავსტრიის გავლით გაემგზავრება ბრატისლავაში. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ჯერ არ დასახელებულა.

### კრივი



სპორტის ამ სახეობაში რჩეულნიც ბორჯომში ემზადებიან ევროპის პირველობისთვის. ეს ასპარეზობა გაიმართება მინსკში, მაისის მეორე ნახევარში. ნაკრების საბოლოო შემადგენლობას მწვრთნელები 10 მაისამდე გამოაცხადებენ.

### თანამედროვე ხუთჭიდი



როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ჩვენმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზია ამას წინათ მოიპოვა. მანამდე ნაკრების ლიდერი დავით ჭულუხაძე მსოფლიო თასის გათამაშებაში იასპარეზებს ბუდაპეშტში. შემდეგ ჭულუხაძე და მისი მწვრთნელი ამირან შეროზია მინსკში ჩავლენ, სადაც ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაში მათ შეუერთდებიან თანაგუნდელები თემურ ბალაკარი და ნოდარ ბარავი.

### ძიუდო



საქართველოს ეროვნული ნაკრები ესესაა დაბრუნდა მინსკიდან, სადაც ევროპის ჩემპიონატის წინ 6 ქვეყნის 160-მდე უძლიერესი ფალავანი იმყოფებოდა სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე. ჩვენი გუნდი მზადებას შინ გააგრძელებს და მაისის მეორე დეკადის დასაწყისში, ფრანკფურტის გავლით, გაემგზავრება ესპანეთში კონტინენტის ჩემპიონატზე.

ინფორმაცია მოგვაწოდა
სპორტის დეპარტამენტმა

SOS

### „მგკივნეული ილეთი“ ოლეგ იაძეს... კასპელებისაგან

ტრადიციებით, თავისი ახლანდელი და ოდინდელი სახელოვანი სპორტსმენებით, ყველა ქვეყანა, ქალაქი თუ რაიონი ამაყობს. კასპში იმდენი ფალავანი აღზრდილა, ერთად აღებულს ბარე ნახევარი მსოფლიოს ქვეყნებს ეყოფოდათ სასიქადულოდ: ახლა კი ქართლის ამ სპორტულ ოაზისში, როგორც ეტყობა, აღარც ტრადიციებს დაგიდევენ და არც ახლანდელი, ჯერ კიდევ მქუხარე სპორტსმენების ბედი ენაღვლებათ. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ევროპის პირველობაზე სამბოში, რომელიც ამ დღეებში გაიმართება ლიტვის ქალაქ შაულიაეში, კასპის რაიონმა საქართველოს ნაკრებში თავისი წარმომადგენელი ვერ დააფინანსა.

— ახლა იძულებული ვხდებით შინ მსაჯი დავტოვოთ და მისი ხარჯებით წავიყვანოთ ჩემპიონატზე კასპელი ჯაბმულ ქამხაძე, უმსაჯოდ წასვლა კი, მოგეხსენებათ, იმას ნიშნავს, რომ არავინ მოგერიდება, თამამად დაგჩაგრავს — ამბობს ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ოლეგ იაძე.

სხვათა შორის, კასპელებს ერთი საამაყო ისიც აქვთ, რომ ოლეგ იაძე ამ რაიონიდანაა. იგი, ალბათ, ვერც კი მოისაზრებდა, რომ ამხელა რაიონი თავის ერთ რჩეულ სამბისტს არ მიავლენდა ევროპის ჩემპიონატზე. ისე, ცოდვას ვერ ვიტყვით, რაიონის გამგებელს ბატონ ზურაბ ქარუმიძეს, რომელიც სპორტის პრობლემებს მუდამ ყურადღებით ეკიდება, განკარგულება გაუცია გამოეყოთ სამივლინებო თანხა ქამხაძისთვის, მაგრამ შემსრულებლებს დავალება არ შეუსრულებიათ. ხედავთ რა ხდება? ზუსტად იგივე მეორდება, რაც ზემოთ, როცა ქვეყნის პრეზიდენტი ავალებს, ხოლო ფინანსთა სამინისტრო და სახელმწიფო ხაზინა სპორტისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს ზღაპრული გველეშაპივით დადარაჯებია და ახლოს არავის იკარებს. ეტყობა ცუდი მაგალითი მართლა ყველასთვის გადამდებია. სპორტის დეპარტამენტმა ამჯერად მხოლოდ ის შეძლო, რომ 14 წევრიანი დელეგაცია დააფინანსა, მეტის გაღების შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, ცხადია, არც კასპელებს შეაწუხებდნენ და არც სხვა რაიონებს, რომლებმაც კასპელებისგან განსხვავებით თავიანთი წარმომადგენლები დააფინანსეს (საგარეჯომ — 3 სპორტსმენი, ფოთმა — 2, წყალტუბომ — 2, თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ — 2, სპორტკლუბმა, „ლოკომოტივმა“ — 2, სასაზღვრო ჯარების სარდალმა გენერალმა ვალერი ჩხეიძემ — 1). დავძენთ, რომ ევროპის ჩემპიონატი ერთდროულად ტარდება ჭაბუკებში (8 მონაწილე), ახალგაზრდებში (7) და მოზრდილებში (7).

მთავარ ნაკრებში, სამწუხაროდ, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონებიდან მხოლოდ სამი ფალავანი შემორჩა ნაკრებს — არჩილ ჩოხელი, ივანე გამხიტაშვილი და იოსებ ახალბედაშვილი.

ნაკრები გუნდები 22 აპრილს დილით გაემგზავრნენ თბილისიდან მოსკოვს, სადაც მათ რუსეთის ფედერაციაში ჩვენი სპორტული წარმომადგენლობა (უფროსი თამაზ მგალობლიშვილი) შეხვდება და ლიტვაში გაისტუმრებს.

„ლელო“ — „გუმათი“

## ერის ჯანმრთელობა, სამშობლოს სიძლიერე, ქართული სპორტის დიდება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში იჭედება – გავიხედოთ სკოლისკენ!

# მცხეთა სპორტული რაიონია...

**თუ სკოლაში დირექტორს მიაჩნია, რომ ფიზიკური აღზრდა ერთ-ერთი მთავარი საგანია, მაშინ ჰარმონიულად სრულყოფილი და ჯანსაღი თაობა აღიზრდება ამ სკოლაში, ხოლო თუ ასეთი ხელმძღვანელი განათლების განყოფილების გამგეა – მთელს რაიონში. საბედნიეროდ, არის ასეთი ხელმძღვანელი – მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე უშანგი ხარშილაძე.**

**– კარგად მესმის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობა, სულიერად და ფიზიკურად სრულქმნილი ადამიანის აღზრდას საფუძველი ეყრება სკოლაში, მთავარი ეს არის. როგორ შეიძლება ფიზაღზრდის უგულებელყოფა სკოლაში, ეს ხომ დანაშაულია თვით ბავშვებისა და ქვეყნის წინაშე – ამბობს ბატონი უშანგი.**

**ყმაწვილობაში უშანგი ხარშილაძე თავად იყო სპორტსმენი, 1962 წელს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი დაამთავრა, შემდეგ პედაგოგიური ინსტიტუტი, ასე რომ, მოზარდთა სულიერი და ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა მას სწორედ რომ არ ესწავლება. მით უმეტეს, ახალგაზრდობაში კომკავშირული წინამძღოლიც იყო და სკოლის დირექტორადაც დიდხანს იმუშავა.**



უშანგი ხარშილაძე



● *ბატონო უშანგი, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მცხეთაში სასკოლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა კვლავ ისეა ყურადღების ცენტრში როგორც ადრე იყო...*

– ადრე ყველა შეჩვეული ვიყავით ზემოდან კარნახით და შიშით მუშაობას. თუკი კაცმა იცი, რომ ჯანმრთელი თაობის აღზრდა ქვეყნის კეთილდღეობაა, რატომ უნდა მიუშვა თვითდინებაზე ეს საქმე, აქაოდა, პასუხს არავინ მომთხოვსო. ბოლოს და ბოლოს დღევანდელი მოზარდები ხომ კარს მომდგარი ახალი საუკუნის მოქალაქეები და სამშობლოს ბატონ-პატრონები და მისი გუშაგები იქნებიან. ისინი მოგვთხოვენ პასუხს ყველაფერზე, რასაც დღეს გულგრილად ვეკიდებით.

● *მცხეთის რაიონში, ნამდვილად არავინ ეკიდება გულგრილად მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას და ყველა აღიარებს, რომ ეს თქვენი დამსახურებაა, სიმართლე გითხრათ, თითქმის დაუჯერებელია ის სამაგალითო აჟიოტაჟი, რაც აქ სუფევს.*

– ეს ჩვენი საერთო პოზიციაა და როცა რაიონულ ღონისძიებებს ვატარებთ, ყველას უნდა თავის გამოჩენა, რაც იმის დასტურია, რომ სკოლაში არ ჩამკვდარა ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა.

● *თავი და თავი მაინც სპეციალისტი – ფიზაღზრდის მასწავლებელია. თბილისში, მაგალითად, კადრების მწვავე დეფიციტია...*

– ჩვენთან არ დგას ეს პრობლემა. 30 სკოლაში ფიზაღზრდის 36 მასწავლებელი მუშაობს, მათგან 33 უმაღლესი განათლებითაა, სამს კი საშუალო სპეციალური განათლება აქვს.

● *უდავოდ შესაშური სტატისტიკაა. მაგრამ არის მეორე და უმთავრესი – სპორტული ბაზები...*

– ამ მხრივაც არ გვაქვს სავალალო მდგომარეობა. თუმცა, მთავარია, როგორ იყენებ ბაზებს. 30-დან სპორტული დარბაზი აქვს 17 სკოლას, კალათბურთის მოედანი – 24-ს, ფრენბურთის – 18-ს, ფეხბურთის – 8-ს.

● *როგორ უყურებთ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ფიზაღზრდის სასკოლო პროგრამას, არის თუ არა მასში გათვალისწინებული ჩვენი ტრადიციები და ეროვნული ინტერესები?*

– წინათ, იცით, ერთიანი საბჭოთა ფიზაღზრდის სასკოლო პროგრამა შემოქმედებით მიდგომას კრძალავდა. მასწავლებელი, უბრალოდ, მისი შემსრულებელი იყო. ახლა ეს გამორიცხულია, როგორც საკლასო, ისე კლასგარეშე მუშაობაში წამყვანი სწორედ ტრადიციებია, ფართოდაა წარმოდგენილი ხალხური თამაშობები და სპორტის ეროვნული სახეობები, მასწავლებელს კი შემოქმედების შეუზღუდავი უფლება აქვს. საუკეთესოთა გამოცდილებას ვანზოგადებთ.

● *სასკოლო მუშაობა გასაგებია, სკოლისგარეშე ღონისძიებებზე რას იტყვით?*

– თქვენ ალბათ გაინტერესებთ მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადები და სხვა სპორტული ღონისძიებები. ცხადია, ასეთი ღონიძიებების გარეშე ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრება მხოლოდ სკოლების ჩარჩოებში ჩაიკეტებოდა. ვატარებთ შეჯიბრებებს, როგორც განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული სტაბილური კალენდრით, ისე რაიონული სპორტღონისძიებების გეგმის შესაბამისად.

● *დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია „მხიარული სტარტების" შეჯიბრებებმა. „ლელოს" წარმომადგენლები დაესწრნენ რამდენიმე მათგანს და დავრწმუნდით, რომ სკოლებში მართლა აქტიურობენ, ასე მომზადებულ ბავშვებს შარაგ ზიდან ვერ აიყვან...*

– აკი გითხარით, დაინტერესებაა საყოველთაო, როცა იციან, რომ სადღაც თავს გამოიჩენენ, მეტი ენერგიით ემზადებიან.

● *მოწინავე სკოლებს ხომ არ დაგვისახელებდით?*

– მიჭირს და იცით რატომ? ყველა იმას აკეთებს რაც შეუძლია, რისი პირობებიც გააჩნია, ყველას ერთნაირად ვერ მოსთხოვ, ხოლო თუ ადამიანი იმას აკეთებს, რაც შეუძლია, ხომ იცით, საყვედური არ ეთქმისო. თუმცა, „მხიარული სტარტების" შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, კარგი მომზადება გამოავლინეს მცხეთის №1, ძეგვის, მისაქციელის, ქსნის, გალავნის სკოლებმა, ყველაფერი, როგორც იტყვიან, შედარებითია, თორემ სკოლამ, თითოეულმა დირექტორმა, მასწავლებელმა თუ მოსწავლემ ყველაფერი იღონა ამ მასობრივ ღონისძიებაში კარგად ესასპარეზა. სწორედ ეს ალამაზებდა და ინტერესს მატებდა შეჯიბრებებს.

● *საუბარს შევყევით, ნაკლოვანებებზე თვალს ხომ არ ვხუჭავთ?*

– თქვენ რომ არ გეთქვათ, მე გეტყოდით. დღეს რომ თქვა, სკოლას ნაკლი არ აქვსო, ვინმე დაგიჯერებს? ხარვეზები ყოველთვის იყო და იქნება, მთავარია, არ მოგერიოს, არ დაგ ჯაბნოს და დაგიბრიყვოს, თორემ თუ დაგიმორჩილა, უსაქმურობის გამრთელების იმუნიტეტად ჩაგიჯდება სხეულში, მერე კი საქმეს აღარაფერი ეშველება. სკოლებში არ გვყოფნის, ან მოძველებულია სპორტული ინვენტარი. ზოგან სრულყოფა-დახვეწისაგან შორსაა ფიზაღზრდის გაკვეთილები, იგივე ითქმის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაზე. თვეში ერთხელ ტარდება მეთოდური თათბირები და მეტწილად ნაკლოვანებებს ვაანალიზებთ.

● *სპორტსკოლებზე არაფერი გვითქვამს...*

– დიდი ხნის ისტორია აქვს რაიონის კომპლექსურ სპორტსკოლას, რომლის აღსაზრდელები და აღზრდილები წარმატებით გამოდიან ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. ეს ყველამ კარგად იცის. სპორტსკოლას მჭიდრო კავშირი აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, ფაქტობრივად, წარმართავს მათ სკოლისგარეშე სპორტულ მუშაობას. რაიონულ ღონისძიებებს სწორედ სპორტსკოლა ხელმძღვანელობს უნარიანი დირექტორის ვანო რთველიაშვილის თავკაცობით. რაიონში ტრადიციულად მუშაობს ნიჩბოსნობის სპორტსკოლა. აი, ამ სკოლაში კი ბევრი გადასაჭრელი საკითხი დაგვიგროვდა.

● *მინდა გკითხოთ და პასუხსაც გულახდილს მოველი – რაიონის ხელმძღვანელობა თუ იჩენს დაინტერესებას მოზარდი თაობის ფიზიკური სრულყოფისადმი?*

– ალბათ არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ისეთი მხარდაჭერა, როგორც ჩვენთანაა, ბევრისთვის სანატრელია. დამიჯერეთ, მცხეთა სპორტული ცხოვრებითაც ცხოვრობს, თანაც აქტიურად. აქვეა სამხარეო ადმინისტრაცია და ისინიც კარგად ხედავენ ყველაფერს...

● *დიახ, გეთანხმებით, „მხიარულ სტარტებზე" დარბაზში ვხედავდით როგორც რაიონის, ისე სამხარეო ორგანიზაციების ცალკეულ ხელმძღვანელებს. განათლებისა და სპორტის სამხარეო სამმართველოების უფროსებმა ვაჟა ლაშაურმა და ვიტალი გრძელიშვილმა გადაწყვიტეს ანალოგიურად რეგიონალური შეჯიბრებაც ჩაატარონ...*

– მართალი ბრძანდებით. უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

● *ერთიც უნდა გკითხოთ, სპორტული სკოლები, რაიონის გარეთ გამართულ ტურნირებში თუ ქვეყნის პირველობებში მონაწილეობა ადგილობრივმა ბიუჯეტმა უნდა დააფინანსოს, ამ მხრივ ყველგან პრობლემებია, თქვენთან...*

– ბავშვთა სპორტს, რაიონის ხელმძღვანელობა, პირადად გამგებელი ბატონი არმაზ შამანაური მთელი სერიოზულობით ეკიდება და როცა მიდგომა ასეთია, პრობლემებიც ნაკლებია. საფინანსო სამმართველოს უფროსი ბატონი გელა ზანდარაშვილი კი ყოველთვის მხარში გვიდგას, სამერმისოდ საქმის გადადება და სიტყვის გატეხვა არ სჩვევია.

● *წარმატებას გისურვებთ!*

თ. თომაშვილი,
„ლელოს" სპეც. კორ., მცხეთა

**P.S. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ მცხეთის რაიონში განსაკუთრებით დააზარალა სასპორტო სკოლები – შემცირდა ჯგუფები, რასაც მომეცადინეთა იძულებითი კლება მოჰყვა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ ჯგუფები დაიხურა სოფლებში, საიდანაც ხალასი ტალანტები მოდიოდნენ ჩვენს სპორტში. გვინდა გვჯეროდეს, რომ რაიონში გამონახავენ შესაძლებლობებს, კვლავ აღსდგება სპორტული ჯგუფები და მასთან ერთად რაიონის სპორტული პრესტიჟი.**

### სტატისტიკა განსჯისათვის

მცხეთის რაიონის ორი სპორტული სკოლის და კონტინგენტთან დაკავშირებით

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 1985 | 60 | 604 | 47 | 9153 |
| 1990 | 54 | 769 | 46 | 9830 |
| 1995 | 53 | 742 | 49 | 10153 |
| 1998 | 30 | 410 | 48 | 10466 |

შენიშვნა: 1. წელი; 2. სპორტსკოლებში ჯგუფების რაოდენობა; 3. მომეცადინეთა რაოდენობა; 4. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა; 5. მოსწავლეთა რაოდენობა.

**ინფორმაცია მიღებულია განათლების სამინისტროს ცენტრალური სპორტ კოლიდან.**







**გამარჯვებულები (მარცხნიდან): ფეხბურთელთა გუნდი; ნორჩი მოჭადრაკეები; ვაჟა ჭკუასელი აჯილდოებს სკოლის ჩემპიონებს.**

# მე-12 სკოლა მოგვიწოდებს: მოინდომეთ და საქმე გაკეთდება

ტკბილ მოგონებად დარჩა ის წლები, როცა ვამბობდით, რომ მომავალი ჩემპიონები პირველ ნაბიჯებს დგამენ სკოლაში, სპორტულ დარბაზში, ფიზაღზრდის გაკვეთილზე. მაგრამ მაშინ, თუმცა სიტყვა შორს იყო სასურველი საქმისგან, ახლაღა ვხვდებით, რომ მაინც ბევრი რამ კეთდებოდა. ყოველ შემთხვევაში, სკოლა უყურადღებოდ არ იყო და ერთ-ერთ წამყვან სასკოლო საგნად ფიზაღზრდა ითვლებოდა. სიმართლე გითხრათ, დღეს რომ ვინმეს ეთქვა, არის სკოლა, სადაც ის ძველი ტრადიციები კვლავ სულდგმულობს, სკოლის დირექტორი და პედკოლექტივი მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაზე კვლავინდებურად ზრუნავსო, არ დავიჯერებდით. საბედნიეროდ, ასეთი სკოლა თურმე მართლა შემორჩა. თბილისის მე-12 საშუალო სკოლაზე მოგახსენებთ. თბილისის განათლების მთავარი სამმართველოს სპორტის მესვეურებმა რედაქციაში დარეკეს და გვთხოვეს მათთან ერთად დავსწრებოდით ხსენებულ სკოლაში შიდასპარტაკიადის დახურვის ცერემონიალს. პირდაპირ გეტყვით, რაც იქ ვნახეთ, მართლა სანიმუშო და განსაზოგადოებელია. სანიმუშო, კი ბატონო, მაგრამ განზოგადება? ნურას უკაცრავად! სად გინდა განაზოგადო, როცა დედაქალაქის სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში ფიზაღზრდის მასწავლებლებიც აღარ შემორჩნენ, დირექტორებს კი თავისმართლების საბაბი მიეცათ.



**ზარი • „ლელო" №16, 1998 წ გამოძახილი**

მე-12 სკოლაში პირველი გაოცება მომცრო სპორტულმა დარბაზმა გამოიწვია და იქვე გაჩნდა სინანული, აქ, სადაც მუშაობა არ განელებულა, სივიწროვეა, სხვა სკოლების ვებერთელა სპორტდარბაზები კი უიმედოდაა გამოკეტილი...

მე-12 სკოლის შიდასპარტაკიადაში თურმე I-XI კლასის ყველა მოსწავლე ჩაბმულა (ცხადია, ასაკის შესაბამისი პროგრამით), რაც ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია. უნდა გენახათ როგორი წელგამართულები, სიცოცხლით სავსე თვალებით გამოდიოდნენ ჯილდოების მისაღებად გამარჯვებულები და პრიზიორები. ზოგიერთი მათგანი საქართველოს ჩემპიონია, ეროვნულ ნაკრებში გამოდიან თანატოლებში, რაც ნათლად ადასტურებს წერილის დასაწყისში ნათქვამს მომავალი ჩემპიონების შესახებ. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ მოსწავლეთა ზეიმი – საერთო სიხარულს ერთნაირად ინაწილებდნენ კლასის დამრიგებლები (განსაკუთრებით ნანა რამიშვილი V და VI[1] კლასები), დირექტორი ქალბატონი ნანა ჯულელი. „სასკოლო რეფორმა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას და ჩვენც ყველაფერს ვაკეთებთ საამისოდ" – თქვა მან. შემდეგ ფიზაღზრდის ვეტერანმა მასწავლებელმა აკაკი გოშაძემ სტუმრებს თავისი აღსაზრდელების სხვა შესაძლებლობებიც აჩვენა – წარმოაჩინა ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლეებს ფიზაღზრდის გაკვეთილებზე თუ კლასგარეშე მეცადინეობებზე შეუძენიათ.

თბილისის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ვაჟა ჭკუასელმა სინანულით თქვა, რომ ისეთი მასწავლებლები, როგორიც ბატონი აკაკია, ქალაქში თითო-ოროლა შემორჩა, ისინი არ ღალატობენ პროფესიას, სკოლას, სადაც ათეულობით წლები გაუტარებიათ, ბავშვებს, რომლებშიც საქართველოს ჯანსაღ მომავალს ხედავენ.

ნამდვილად უნდა გვეცოდებოდნენ ის მოზარდები, რომელთა სკოლაში ფიზიკური სრულყოფის უკეთესი შესაძლებლობებია, მაგრამ აკაკი გოშაძისნაირი მასწავლებლები და ნანა ჯულელისნაირი დირექტორები არ ჰყავთ, ანდა, ფიზაღზრდის გაკვეთილები სულაც არ უტარდებათ.

ყური მიუგდეთ საგანგაშო ზარს, რომელიც ახლა მე-12 სკოლამ შემოჰკრა ყველას გასაგონად და გამოსაფხიზლებლად!

თ. ბაქრაძე

### კარატე საქართველოს ჩემპიონატი მოზარდებში

# უკვე მეექვსედ

დიახ, ქვეყნის ჩემპიონატი მოზარდთა შორის შიტო-რიუ კარატე დოში უკვე მეექვსედ ჩატარდა. ვერაზე, საკალათბურთო დარბაზში ამჯერად 150 ჭაბუკი და გოგონა ცდილობდა სრულად გამოემჟღავნებინა თავისი ხელოვნება. როგორც მთავარმა მსაჯმა გელა ახალაძემ გვითხრა, მოზარდებმა კარგი მომზადება გამოავლინეს.

**ქვარცხლბეკი:**

***გოგონები (10-11 წ.):*** 1. დიანა ძიძიშვილი, 2. ეთერ გავაშელი, 3. მარიამ შაუთიძე (სამივე – თბილისი). ***ჭაბუკები (9-10 წ).*** ***30 კგ-მდე:*** 1. გიორგი დანელია (თბ.), 2. ხაჩიკ ტონოგონიანი (ლანჩხუთი), 3. გოჩა ლუაშვილი (თბ.); ***35 კგ-მდე:*** 1. მამუკა მაჩაიძე (თბ.), 2. ნიკა ებრალიძე (ლანჩხ.), 3. გიორგი ტერუნაშვილი (თბ.); ***35 კგ. ზევით:*** 1. რატი ხუნწარია, გიორგი სოხაძე, 3.ნოდარ თუშიშვილი (სამივე – თბ.); ***11-12 წ. 30 კგ-მდე:*** 1. ლაშა გიორგაძე (ლანჩხ.), 2. ალეკო ბერუნაშვილი, 3. ზურაბ პაპიაშვილი (ორივე – თბ.); ***35 კგ-მდე:*** 1. ირაკლი ტყებუჩავა, 2. გიორგი ჰანტურია, 3. ქანი საფაროვი (სამივე – თბილისი); ***35 კგ-ს ზევით:*** 1. გიგა ლაპიაშვილი, 2. ბექა არახამია, 3. გიორგი ბებიაშვილი (სამივე – თბ.); ***13-14 წ. 45 კგ-მდე:*** 1. დათო გოგელია, 2. აჩიკო თაბუკაშვილი (ორივე – თბ.), 3. მალხაზ ოდიკაძე (რუსთავი); ***55 კგ-მდე:*** 1. შოთა ალექსაშვილი (საგარეჯო), 2. ვახტანგ ქარუმიძე, 3. ირაკლი თავდგერიძე (ორივე – თბ.); ***55 კგ. ზევით:*** 1. ნოდარ გიორგაძე, 2. მიშა სოსენკოვი, 3. რუსლან მამედოვი (სამივე – თბ.); ***15-16 წ. 60 კგ-მდე:*** 1. სერგო გურგენიშვილი, 2. მიხეილ ბენაშვილი (ორივე – თბ.). 3. გიორგი შიოშვილი (საგარ.); ***60 კგ-ზე ზევით:*** 1. ვასილ ჭონიშვილი, 2. სერგო გურგენაშვილი, 3. მიხეილ მახარაძე (სამივე – თბ.); ***17 წლიანები:*** 1. სერგეი ბონდარენკო, 2. ლაშა ბოლქვაძე, 3. გიორგი ბოლქვაძე (სამივე – თბ.).

ნ. თუშიშვილი,

*სურათებზე. მარცხნივ – გამარჯვებულები; მარჯვნივ: აჯილდოებენ 12 წლის ჩემპიონს გიგა ლაპიაშვილს.*





# საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# პირველი ჯგუფი XXIII ტური

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

### ტორპედო (ქუთაისი) — მერანი-91 (თბილისი) 3-0

*ტორპედო:* მამარდაშვილი, შეყრილაძე (ქობულაძე), ჩხაბერიძე, ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, ჩხეტიანი (ვაჩიბერაძე), კვეტენაძე, ხუჯაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (შენგელია), ჩხაიძე.
*მერანი-91:* ნაჭყეპია, ივანიშვილი (ინიაშვილი), ალადაშვილი, დავითნიძე, ბუხრიკიძე, გეწაძე, კაპანაძე (ჭინჭარაული), აბაზაძე, ხორხელი, მესხი (ბერაია), დავითაშვილი.
*გოლები:* ჯანაშია (50,59,63)
*გააფრთხილეს:* დავითაშვილი, კვეტენაძე.
*მსაჯი:* სოსო კახიანი (თბილისი)

### სიონი (ბოლნისი) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 3-0

*სიონი:* დალაქიშვილი, ჩომახიძე, შაკიაშვილი (ბერიძე), ყიფშიძე, კ. წიკლაური, სამხარაძე, გოგოლაძე, ჯ. წიკლაური, ტყავაძე, ჯაგიდისი (გ. ჯაფარიძე), გაგუა (ფოფხაძე).
*ვიტ-ჯორჯია:* ჯანელიძე, ილურიძე, კევლიშვილი, ქოხონელიძე, ბურდული, დვალიშვილი, რუხაძე (ალავიძე), დ. ჭაფარიძე, ნოზაძე (ქუთათელაძე), ჭუმბურიძე (ნადირაძე), გოჩაშვილი.
*გოლები:* ჯაგიდისი (36), შაკიაშვილი (45), ფოფხაძე (90)
*გააფრთხილეს:* ბერიძე, ქოხონელიძე.
*მსაჯი:* ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

### უნივერსიტეტი (თბ) — სამგურალი (წყალტ) 2-1

*თსუ:* ბათიაშვილი, ყოლბაია, კვიტატიანი, კობიაშვილი, ქორიძე, შალამბერიძე, გემეზაშვილი, მაზიაშვილი, რუსია, მელქაძე, როსტიაშვილი.
*სამგურალი:* სტურუა, მახვილაძე, თევზაძე, შველიძე, ჭელიძე, ფრანგიშვილი (ჯანაშია), გაგნიძე, ხაჭაპურიძე, მოსიკაშვილი (ფხაკაძე), ხურცილავა (ქუთათელაძე), თევდორაძე.
*გოლები:* 0-1 თევდორაძე (16), 1-1, 2-1 მაზიაშვილი (47,60)
*გააფრთხილეს:* კვიტატიანი, ჭელიძე
*მსაჯი:* თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)

### დინამო (ბათუმი) — დილა (გორი) 2-0

*დინამო:* ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე (რომანიძე), სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, მაჭუტაძე, ზირაქიშვილი (აფხაზავა), კანტიძე (მჟავანაძე).
*დილა:* ილურიძე, ხოხობაშვილი, ხ. გაგნიძე, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, წკრიალაშვილი (მინდიაშვილი), ციცქიშვილი (თაყაძე), ბ. ჩიტაია, ხორგუაშვილი, გ. ჩიტაია.
*გოლები:* თორლაშვილი (49), სიჭინავა (68)
*მსაჯი:* თამაზ ლაცაბიძე (სურამი)

### ოდიში (ზუგდიდი) — მარგვეთი (ზესტაფონი) 2-2

*ოდიში:* გაბელია, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ცქიფურიშვილი, ტყემალაძე, ქორიძე, ებრალიძე, ჩადუნელი, ენდელაძე, სიდამონიძე, კალანდაძე.
*მარგვეთი:* ნიქაბერიძე, გოგაძე, ქვანია, კაკაბაძე, ღონღაძე, კაციაშვილი, ქურციკიძე (ბოგვერაძე), მალაღურაძე (თხელიძე), მუმლაძე, მაღრაძე, შავგულიძე.
*გოლები:* 1-0 კალანდაძე (2), 1-1, 1-2 შავგულიძე (3,8), 2-2 კალანდაძე (60, პენ.)
*გააფრთხილეს:* ღონღაძე, გოგაძე, კაციაშვილი, ქურციკიძე, ენდელაძე, სიდამონიძე.
*გააძევეს:* ღონღაძე, ცქიფურიშვილი
*მსაჯი:* სოსო შალამბერიძე (თბილისი)

### კოლხეთი-1913 (ფოთი) — დინამო (თბილისი) 3-1

*კოლხეთი:* ქვაჩახია, მიქაბერიძე (ჩხენკელი) ჯლამაძე, გიორგაძე, გიორგობიანი, ღლანიძე, ნოზაძე, ინალიშვილი (გოროზია), გვასალია, წივწივაძე, ქობულაძე.
*დინამო:* ზოიძე, ლობჟანიძე (ქემოკლიძე), გუჩუა, ჯელაძე, ცქიტიშვილი, კვარაცხელია, კიკნაძე, ალექსიძე (პეტრიაშვილი), აშვეთია, მუჯირი, წიტაიშვილი (ხომერიკი)
*გოლები:* 0-1 ალექსიძე (15), 1-1 ღლანიძე (26), 2-1 გვასალია (43), 3-1 ნოზაძე (82, პენ.)
*გააფრთხილეს:* გუჩუა, ალექსიძე, წივწივაძე
*მსაჯი:* მერაბ მალაღურაძე (თბილისი)

### მაღაროელი (ჭიათურა) — გურია (ლანჩხუთი) 2-0

*მაღაროელი:* გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ბიწაძე, გაბრიჭიძე, ბარამიძე, შეყლაშვილი, ბუიშვილი, სამხარაძე, კავთელაძე, მწყურაშვილი.
*გურია:* გოგუა, ფაცურია, ლორია, კუკელაძე, პატარაია, თიბილაშვილი, ქიქავა, განევი, ხოსროშვილი, ბერიძე, ბულუხია.
*გოლები:* მწყურაშვილი (55), შეყლაშვილი (73)
*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

# მეორე ჯგუფი • XXIII ტური

## უპრობლემო გამარჯვება

### ასკ (თბილისი) — მეშახტე (ტყიბული) 5-0

**ასკ:** აბაშიძე, ყუფარაძე, გულიაშვილი, გველესიანი, თევზაძე (ცერცვაძე), მაისურაძე, დობორჯგინიძე, პოზოიანი (ფანცულაია), ამირიძე, ფირცხალავა, სულაძე.
**ტყიბული:** ჭიჭინაძე, კოვზირიძე, პატარიძე, სოფრომაძე, ლომთაძე, კალატოზი, ხელაძე, კირკიტაძე, ავალიშვილი, კანკია, თუშმანიშვილი (ჩაფიძე).
**გოლი:** 1-0 ფირცხალავა (2), 2-0 პოზოიანი (7), 3-0 ამირიძე (9), 4-0 სულაძე (15), 5-0 დარიელაშვილი (55).
**გაძევება:** ლომთაძე
**მსაჯი:** მერაბ მალაღურაძე (თბილისი)

„მეშახტისაგან" დღესდღეობით გუნდს მხოლოდ ძველი სახელიღა შემორჩა. არადა, რა ვუწოდოთ იმერელ ფეხბურთელთა ამდაგვარ უსუსურ თამაშს, მათ მეტოქის საჯარიმოში მხოლოდ მეოცე წუთისათვის შეაღწიეს. მთელი შეხვედრის განმავლობაში კი სულ სამიოდეჯერ თუ შეაწუხეს მეტოქეთა მეკარე. ის უკანასკნელი ისე უსაქმოდ იყო, რომ თამაშის პროცესში ხშირად ვარჯიშობდა, ალბათ, ნატრობდა: „ნეტავ მეტოქეთაგან ვინმემ ძლიერად დამირტყასო, ცოტა გავხურდები მაინცო".

არმიელმა ფეხბურთელებმა, შეიძლება ითქვას, ყველა სათამაშო კომპონენტში „გადაუარეს" მეტოქეს.

პირველი გოლი არასტანდარტული მდგომარეობიდან გავიდა: ყუფარაძემ, მარცხენა ფრთიდან კუთხური ჩამოაწოდა, ბურთი საპირისპირო კუთხის კიდესთან მდგარ ვეტერან ფირცხალავას (1965) პირდაპირ თავზე „დააჯდა", მან კი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა. გატანილი ბურთის შემდეგ, თამაში ანალოგიური სცენარით წარიმართა, მასპინძლები მობილურად, შეთამაშებულნი მოქმედებდნენ და პირველ ტაიმში, შეიძლება ითქვას, „საქმე მოათავეს". სტუმრებს პირველ 45-წუთში თავი არაფრით გამოუჩენიათ, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ ინერტულ შეტევას და მსაჯის — მალაღურაძის მიერ მათი მცველის — ლომთაძის მინდვრიდან გაძევებას შელაპარაკების გამო. ისე, არბიტრს ცოტა არ იყოს, დაღლილობაც ეტყობოდა. მან ხომ წინა დღით უმაღლესი ჯგუფის, ტურის ცენტრალური შეხვედრა იმსაჯა ფოთის „კოლხეთსა" და თბილისის „დინამოს" შორის. ეტყობა სამეგრელოში მოგზაურობამ თავისი დაღი დაასვა ენერგიულ მალაღურაძეს, რომელსაც პირველსა და მეორე ტაიმებს შორის შუალედი ხანგრძლივი გამოუვიდა, თუმცა ამას არავითარი პრობლემა არ მოჰყოლია და ასპარეზობა განახლდა.

მასპინძლებმა სამივე შეცვლა გამოიყენეს — გამოვიდა ყველასათვის ცნობილი ფეხბურთელი — მამუკა ფანცულაია, რომელსაც გოლის გატანის რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ ორიოდე მეტრიდან ეს ვერ მოახერხა.

„მეშახტე" კი მეორე ნახევარში ცოტა „გამოფხიზლდა" და რამდენიმე კონტრშეტევაც შექმნა, მაგრამ ამას ყველაფერს ზოზინით, ნელ ტემპში აკეთებდა. შემდეგ დაღლილობაც „შემოეპარათ", შესაცვლელად კი მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ჰყავდათ, რომელსაც ექსტრემალური, უკიდურესი შემთხვევისათვის გამოიყენებდნენ, ეტყობა 0-5 წაგებულ შეხვედრაში ასეთი მომენტი დადგა, მაგრამ მწვრთნელმა მისი შემოყვანა ნამეტნავად დააგვიანა, ამ ცვლილებამ საქმის არსი ვერაფრით ვერ შეცვალა, მიუხედავად იმისა, რომ მეთორმეტე ფეხბურთელმა — ჩაფიძემ თავის მისიას კარგად გაართვა თავი.

ბოგა ლომიძე

**სხა მატჩები.** მერცხალი — ცხინვალი 0-1, ასკ — მეშახტე 5-0, შსს აკადემია — იბერია (ს) 1-2, საპოვნელა — იმერეთი 2-3, კოლხეთი — კოდაკო 2-1, თორი — იბერია (ქ) 2-5, ფაზისი — სამეგრელო 1-1.

მორიგი ტურის მატჩები ხვალ გაიმართება, დღეისათვის კი გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (თბ.) | 23 | 20 | 3 | 0 | 76-12 | 63 |
| იბერია (სამტრ.) | 23 | 16 | 4 | 3 | 53-17 | 52 |
| კოლხეთი (ხობი) | 23 | 16 | 3 | 4 | 57-34 | 51 |
| ივერია (ხაშური) | 23 | 15 | 4 | 4 | 55-22 | 49 |
| ცხინვალი | 23 | 13 | 3 | 7 | 53-27 | 42 |
| შსს აკადემია (თბ.) | 23 | 13 | 4 | 6 | 61-23 | 38 |
| მერცხალი (ოზურ.) | 23 | 10 | 1 | 12 | 33-38 | 31 |
| ფაზისი (ფოთი) | 23 | 9 | 4 | 10 | 44-41 | 31 |
| თორი (ბორჯ.) | 23 | 9 | 4 | 10 | 40-48 | 31 |
| სქური (წალენჯ.) | 23 | 9 | 2 | 12 | 31-50 | 29 |
| მეშახტე (ტყიბ.) | 23 | 8 | 2 | 13 | 35-44 | 26 |
| სამეგრ. (ჩხორ.) | 23 | 6 | 5 | 12 | 30-50 | 23 |
| კოდაკო (თბ.) | 23 | 5 | 2 | 16 | 20-47 | 17 |
| იბერია (ქარელი) | 23 | 6 | 2 | 15 | 30-53 | 15 |
| იმერეთი (ხონი) | 23 | 4 | 1 | 18 | 27-90 | 13 |
| საპოვნე. (თერჯ.) | 23 | 2 | 2 | 19 | 24-73 | 8 |

# მესამე ჯგუფი

**აღმოსავლეთი ზონა • XII ტური**

თელეთი — ალაზანი 3-3, იბერია — ხალიბი-97 0-3, ალგეთი — სამგორი 2-0, ჭაბუკიანი — შირაქი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 10 | 9 | 1 | 0 | 23-2 | 28 |
| ალგეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 14-6 | 23 |
| შირაქი | 11 | 5 | 3 | 3 | 22-10 | 18 |
| იბერია | 11 | 5 | 1 | 5 | 16-15 | 16 |
| ხალიბი-97 | 10 | 5 | 0 | 5 | 13-10 | 15 |
| ალაზანი | 11 | 4 | 3 | 4 | 15-13 | 15 |
| სამგორი | 11 | 4 | 2 | 5 | 16-18 | 14 |
| ჭაბუკიანი | 11 | 2 | 1 | 8 | 5-18 | 7 |
| თელეთი | 10 | 0 | 1 | 9 | 10-42 | 1 |

**ცენტრალური ზონა • XII ტური**

ლოკომოტივი-2 — მრეტები 4-2, დილა-2 — ბაია ქასქი ჯიქები 7-1, თსუ-2 — მესხეთი 1-1, ვარძია — დინამო-2 0-2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო-2 | 11 | 8 | 1 | 2 | 39-11 | 25 |
| ჟინერი | 12 | 7 | 2 | 3 | 26-19 | 23 |
| მესხეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 34-20 | 21 |
| თსუ-2 | 10 | 6 | 3 | 1 | 23-8 | 21 |
| ლოკომოტ.-2 | 12 | 6 | 1 | 5 | 25-18 | 19 |
| დილა-2 | 12 | 6 | 1 | 5 | 28-22 | 19 |
| ბაია ქასქი ჯიქ. | 12 | 4 | 3 | 5 | 15-22 | 15 |
| მრეტები | 12 | 3 | 1 | 8 | 16-37 | 10 |
| ვარძია | 11 | 2 | 2 | 7 | 14-30 | 8 |
| 35-ე სტუ | 12 | 1 | 1 | 10 | 8-41 | 4 |

**დასავლეთი ზონა • XIV ტური**

სულორი — შუქურა 1-1, გაგრა — ტორპედო-2 1-2. ენგური — ოდიში-2 2-1, ოქროს საწმისი — სამგურალი-2 2-0, სალხინო — ბათუმი-2 2-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 13 | 11 | 2 | 0 | 33-5 | 35 |
| ეგრისი | 12 | 10 | 1 | 1 | 30-13 | 31 |
| შუქურა | 12 | 5 | 6 | 1 | 17-9 | 21 |
| ოქროს საწმისი | 13 | 6 | 1 | 6 | 25-19 | 19 |
| გაგრა | 13 | 5 | 3 | 5 | 25-17 | 18 |
| ოდიში-2 | 13 | 5 | 1 | 7 | 15-18 | 16 |
| სამგურალი-2 | 13 | 4 | 3 | 6 | 19-25 | 15 |
| ბათუმი-2 | 13 | 3 | 4 | 6 | 15-19 | 13 |
| ტორპედო-2 | 13 | 3 | 3 | 7 | 11-22 | 12 |
| სალხინო | 12 | 3 | 1 | 8 | 17-33 | 10 |
| სულორი | 13 | 2 | 1 | 10 | 11-38 | 7 |

## სფფ-ს მომავალი არჩევნები • გზა მიეცით ღირსეულთ!

# ვაგრძელებთ დისკუსიას

**1. ვის ისურვებდით და რატომ სფფ-ს პრეზიდენტად?**
**2. რა გზებითა და საშუალებებითაა შესაძლებელი ქართული ფეხბურთის დონის ამაღლება?**

**ორივე საკითხზე — პასუხს ერთად გაგცემთ:**

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ვისურვებდი ისეთ პრინციპულ და ფეხბურთზე გადამკვდარ ადამიანს, როგორიცაა პარლამენტარი ნუგზარ ნავაძე. იგი როგორც იცით, დაარსებიდანვე სათავეში უდგას თბილისის საფეხბურთო კლუბ „მერანი-91-ს". წლების მანძილზე იყო სფფ-ს აღმასკომის წევრი. მას სხვებისაგან განსხვავებით, ყოველთვის გააჩნდა საკუთარი აზრი ქართული ფეხბურთის განვითარების გზებზე. საქვეყნოდ ცნობილია, რომ მან აღმასკომის წევრთაგან პირველმა გაილაშქრა სფფ-ს „ნოვაციის" წინააღმდეგ (ლაპარაკია გუნდებისთვის ქულების დაკლებაზე), ჩემპიონატში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. სწორედ ამის გამო მან უარი თქვა თავის დროზე აღმასკომის წევრობაზე, რაც ნავაძის პრინციპულობაზე ლაპარაკობს. თუ იგი გახდა სფფ-ს პრეზიდენტი, თავისთავად გაქრება ის დაძაბულობა, რაც არსებობს ფედერაციასა და პარლამენტს, აგრეთვე სპორტის დეპარტამენტს შორის. მთავრობა მეტ ყურადღებას მიაქცევს ფეხბურთს და შეძლებისდაგვარად ფინანსურად დაეხმარება. ნავაძე სწორედ ის პიროვნებაა, რომელიც კისერს მოუგრიხავს სფფ-ში მომუშავე ზოგიერთ არაკეთილსინდისიერ მუშაკს — კორუპციასთან ბრძოლა ფეხბურთშიც უნდა მიმდინარეობდეს..

პატივისცემით, ნუგზარ ნასყიდაშვილი, თბილისი.

## მერაბ ჟორდანია: „ერთად გავარკვიოთ, რატომ არ უყვართ ზოგიერთებს თბილისის „დინამო". და კიდევ: ვადა იწურება, „მრეტები" „დინამოსგან" კვლავ მოითხოვს გადავადებული ვალის დაბრუნებას

(პირველი გვერდიდან)

ში" კვლავ დავიბრუნოთ გერმანიაში, ჰოლანდიაში და ისრაელში მოთამაშე ლევან კობიაშვილი, გიორგი დემეტრაძე და კახი გოგიჩაიშვილი. გარდა ამისა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე, ამას წინათ, იმყოფებოდა კიევში, სადაც მიაღწია შეთანხმებას იქაური „დინამოს" მესვეურებთან იმის თაობაზე, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც ვალერი ლობანოვსკის გუნდში ვერ მოხვდებიან, განათხოვრდებიან თბილისის „დინამოში" და მის შემადგენლობაში გამოვლენ ჩემპიონთა ლიგის მატჩებში. გარდა ამისა, ევროტურნირის დაწყებამდე ორივე „დინამო" ერთობლივ შეკრებას გაივლის.

ცხადია, ჟურნალისტები ჟორდანიას სფფ-ს მომავალ ყრილობაზეც დაეკითხნენ. მთავარი თემა: იყრის თუ არა კენჭს პრეზიდენტის პოსტზე და, საერთოდ, რას ფიქრობს მომავალ არჩევნებზე. ჯერჯერობით „დინამოს" მესვეურმა თავი შეიკავა კონკრეტული პასუხის გაცემისაგან — ფედერაციის პრეზიდენტობა ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაა და ყველაფრის აწონ-დაწონვისათვის დროა საჭიროო. ამასთან, მერაბ ჟორდანიამ, როგორც სფფ-ს აღმასკომის წევრმა, სურვილი გამოთქვა, რომ მომავალ თავყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მანდატების სამართლიანად განაწილებას, გაცილებით მეტი რაოდენობის მანდატები მიეცეთ სახელოვან ვეტერან ფეხბურთელებს. „დინამოს" თავკაცმა არც ის გამორიცხა, რომ სფფ-ს ყრილობაზე მანდატების გარკვეული ნაწილი მიიღონ იმ ჟურნალისტებმა, რომლებიც დღენიადაგ ზრუნავენ ქართული ფეხბურთის პროპაგანდისათვის. პირობას გაძლევთ, რომ მომავალი ყრილობა ქართული ფეხბურთის განვითარების დასაბამი გახდება — თქვა ჟორდანიამ.

პრესკონფერენციის ბოლოს მერაბ ჟორდანია კვლავ დაუბრუნდა საკუთარი გუნდის პრობლემებს და ჟურნალისტებს თანადგომა სთხოვა — ***ერთად გავარკვიოთ რატომ არ უყვართ ზოგიერთებს „დინამო"*** და ვიღვაწოთ ფეხბურთში ვანდალიზმის აღმოსაფხვრელადო.

ჯემალ ჭიკაშვილი

## „2X45-ზე"

### გიორგი დოლენჯაშვილი — პირველი გამარჯვებული

„ლელოს" 28-ე ნომერში გამოქვეყნდა კონკურსის „2X45-ზე" პირობები მოსკოვის „სპარტაკსა" და მილანის „ინტერს" შორის უეფას თასის ნახევარფინალის განმეორებითი მატჩთან დაკავშირებით. თბილისელმა 27 წლის გიორგი დოლენჯაშვილმა ხუთი ვარიანტი წარმოადგინა საკონკურსოდ, რომელთაგან ერთი სრულად დაემთხვა მატჩის შედეგსაც და პერიპეტიებსაც.



გიორგი ჩვენი კონკურსის პირველი გამარჯვებულია და ჯილდოდ გადაეცა 50 ლარი. გიორგი დოლენჯაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტია.

## სხვადასხვა მერიდიანზე

# ახალი ამბები

**ჩოგბურთი** • მონტე კარლოში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. ესპანელი მანტილა დამარცხდა გერმანელ კიფერთან ორთაბრძოლაში, ესპანელმა ალბერტო კოსტამ გათამაშებას გამოთიშა შვედი ენკვისტი, სამხრეთაფრიკელმა ფერეირამ სძლია ჰოლანდიელ შალკენს; შემდეგ წრეში გავიდა ავსტრიელი ფილიპუსისიც.

**კრივი** • პროფესიონალი ფერადკანიანი მოკრივე იუბანკი საავადმყოფოში მოათავსეს ამერიკელ კარლ ტომპსონთან ბრძოლის შემდეგ.

**გოლფი** • მსოფლიო კლასიფიკაციაში ცვლილებებია. ბოლო დროის აღიარებულმა ლიდერმა თაიგერ ვულსმა დათმო პირველი გოლფისტის ადგილი. მას გადაუსწრო სამხრეთ აფრიკელმა ელსმა, ვუდსი მეორეა, ლავ-III მესამეა, გრეგ ნორმანი — მოთხე, ხოლო კოლინ მონტგომერი მეხუთე.

**მარათონი** • აშშ-ს შტატ მასაჩუსეტსის ქალაქ ბოსტონში ასმეორეჯერ გაიმართა საყოველთაოდ ცნობილი შეჯიბრება მარათონში. წინა შვიდ შეჯიბრებაში ვაჟებს შორის კენიელები იმარჯვებდნენ. გამონაკლისი არც ახლა მომხდარა — პირველი ადგილი ტანუიმ დაიკავა, მეორე — ჩებეტმა, ქალებს შორის ეთიოპიელმა ფატუმა რობამ გაიმარჯვა.

მოამზადა ბია ახალაძემ

**ფეხბურთი** • საუდის არაბეთმა ზედიზედ ჩაატარა ე.წ. „კონფედერაციის თასის" გათამაშება, რომელშიც მსოფლიოს უძლიერესი ნაკრებები მონაწილეობდნენ, მათ შორის ბრაზილიელებიც. ამიერიდან ეს საერთაშორისო შეჯიბრება მისამართს შეიცვლის და მექსიკაში გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ მექსიკელები, შარშანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებული ბრაზილიელები, ყველა კონტინენტის ჩემპიონები — საუდის არაბეთი — ეგვიპტე, ოკეანიის საუკეთესო ნაკრები, ევროპის წარმომადგენელი (რომელსაც მოგვიანებით დაასახელებენ), აშშ და მოლდოვა.

# მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

# ბრაზილიელები

## დიდი ტრაგედია

მსოფლიოს მესამე ჩემპიონატს მეორე მსოფლიო ომი მოჰყვა. ფეხბურთისათვის ვილას ეცალა. ჯერ კიდევ ომამდე ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ ფიფას განცხადებით მიმართა მსოფლიო ჩემპიონატის 1942 წელს ჩატარების შესახებ. თანხმობაც მიიღო, მაგრამ... 1946 წელს ბრაზილიელები ამ შეჯიბრების ორგანიზაციის ერთადერთი პრეტენდენტები იყვნენ, და, მათი თხოვნა, ცხადია, დააკმაყოფილეს. ახლა მსოფლიოს თასს ჟიულ რიმეს სახელი დაერქვა და ბრაზილიელებს სრული იმედი ჰქონდათ, რომ დაიტოვებდნენ მას. ლონდონის კონგრესის დადგენილებით, ფინალში 16 ნაკრებს უნდა ეთამაშა: რვას — ევროპიდან, ხუთს — სამხრეთ ამერიკიდან, ორს — ცენტრალური და ჩრდილო ამერიკიდან, ერთს — აზიიდან. პირდაპირ ფინალში დაუშვეს იტალიელები, როგორც მსოფლიო ჩემპიონები და ბრაზილიელები — როგორც ორგანიზატორები. ბევრ ჯგუფში შესარჩევი თამაშების ჩატარება ვერ მოხერხდა, ზოგმა თავიდანვე განაცხადა თამაშზე უარი, ზოგმა შემდეგ. არგენტინელებმა ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს პროფესიონალი ფეხბურთელების არნახული გაფიცვის გამო, რომელთა უმეტესობა შემდეგ კოლუმბიაში გადავიდა.

ასე იყო თუ ისე, ჩემპიონატი 1950 წლის ივნის-ივლისში მაინც გაიმართა. მონაწილეები ოთხ ჯგუფად დაჰყვეს, პირველ ორში 4 ნაკრებით, მესამეში — სამით, მეოთხეში — მხოლოდ ორით. თითო გამარჯვებულს შემდეგ ფინალური ოთხეული უნდა შეედგინა, სადაც თამაში ასევე წრიული სისტემით წარიმართებოდა.

უდიდეს ინტერესს იწვევდა ასპარეზობა პირველ ჯგუფში, სადაც მასპინძლებთან ერთად მექსიკელები, იუგოსლავიელები და შვეიცარიელები გამოდიოდნენ. თამაშები რიო-დე ჟანეიროს, ბელუ-ორიზონტოს, სან-პაულუს, პორტუ-ალეგრის სტადიონებზე ჩატარდა.

24 ივნისს მარაკანაზე ბრაზილიელები მექსიკელებს შეხვდნენ. უნდა ითქვას, რომ მთელ ქვეყანაში ნამდვილი საფეხბურთო ციებცხელება დაიწყო. ბილეთების შოვნა დიდი პრობლემა იყო. ჩემპიონატის მატჩებს საშუალოდ 60 773 მაყურებელი ესწრებოდა, რაც ყველა დროისათვის სარეკორდო გახდა. იმის მიუხედავად, რომ გიგანტური სტადიონის მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დამთავრებული (მხოლოდ 1951 წელს დაასრულეს), ამას ხელი არ შეუშლია შეჯიბრების გრანდიოზული გახსნისათვის. „მარაკანას" თავზე თვითმფრინავები დაფრინავდა, ვირტუოზულ ნომრებს ასრულებდნენ, ფოიერვერკები იმართებოდა, ტრიბუნებზე ბრაზილიურ სამბას ცეკვავდნენ.

ბრაზილიელებთან მატჩის შემდეგ მექსიკელები ჩიოდნენ, რომ ვერაფრით ვერ შეეჩვივნენ წარმოუდგენელ ხმაურს, ტრიბუნებზე რომ იდგა. ბრაზილიელებმა იოლად გაიმარჯვეს ანგარიშით 4-0. პირველი ბურთი ადემირმა გაიტანა, რომელიც მესამის ავტორიც გახდა, დანარჩენი ორისა — ჟაირი და ბალტასარი. ერთი სიტყვით, მწვრთნელ ფლავიო კოსტას სასაყვედურო არაფერი ეთქმოდა. ბელუ-ორიზონტეში. იუგოსლავიელებმა შვეიცარიელებს მოუგეს ანგარიშით 3-0, რის შემდეგ იტალიელმა მსაჯმა გალეატიმ განაცხადა, რომ იუგოსლავიელები ყველა ევროპულ ნაკრებზე უფრო ძლიერნი იყვნენ და საბოლოო ანგარიშით, ბრაზილიელებს პირველი ადგილისათვის



*1950 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში – ურუგვაის ეროვნული ნაკრები. სხედან (მარცხნიდან): მედინასი (მეორე მეკარე), ჩიგია, პერესი, მიგუესი, სკიაფინო, მორანი, ვიდალი (მეორე მწვრთნელი); დგანან (მარცხნიდან): ვარელა (ნაკრების კაპიტანი), მესამე - ტიერა, მეექვსე-მეშვიდე-მერვე-მეცხრე – კომბატა, გონსალესი, მასპოლი (აღიარეს ჩემპიონის საუკეთესო მეკარედ) ანდრადე.*

*ფოტო „ლელოს" არქივიდან.*

ბრძოლაში სერიოზულ კონკურენციას გაუწევდნენ. ვინ იცოდა...

ბრაზილიელების მეორე მატჩმა იუგოსლავიელებისაგან ასე იოლად დამარცხებულ შვეიცარიელებთან ფრიად მოულოდნელი შედეგი მოიტანა. აქ ალფრედომ თამაშის დასაწყისშივე გახსნა ანგარიში, შვეიცარიელების მარცხენა გარემარბმა ფატონმა გაიტანა საპასუხო ბურთი. ბალტასარმა კვლავ დააწინაურა თავისიანები, ფატონმა ხელმეორედ გაათანაბრა ანგარიში — 2-2. შეიძლება ბრაზილიელ გულშემატკივრებს სწორედ მაშინ გაუჩნდათ ეჭვი, რომ მათ ნაკრებში ყველფერი წესრიგში არ იყო და მწვრთნელები, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებდნენ.

მესამე მატჩი იუგოსლავიელებთან რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა. იუგოსლავიელებს იმ ხანებში მართლაც მშვენიერი ნაკრები ჰყავდათ: მეკარე მარკუშიჩი, მცველები ნოვაკი და სტანკევიჩი, ძმები ჟელკო და ზლატკო ჩაიკოვსკები, თავდამსხმელები მიტიჩი და ვუკასი. რომ ბრაზილიელებს ასეთ ადრეულ სტადიაში არ გადაჰყროდნენ, იუგოსლავიელები ექსპერტების აზრით, ერთ-ერთ საპრიზო ადგილსაც დაიკავებდნენ. ამ შეხვედრას 200 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. ეს ოფიციალური ცნობით, სინამდვილეში კი მეტიც იყო, ბევრმა სხვადასხვა გზით მოახერხა სტადიონზე შეღწევა. უკვე მესამე წუთზე იოვანოვიჩს მძიმე შეცდომა მოუვიდა, მოუფიქრებლად გადააწოდა ბურთი უკან, რომელსაც მეკარის ნაცვლად ადემირი დაეუფლა და მარკუშიჩს უკვე აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო. შემდგომ ბრძოლაში ევროპელებს არაერთგზის შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, ვერაფერი მოახერხეს, ამის ნაცვლად მეორე გოლიც მიიღეს (ზიზინიო) და დატოვეს გათამაშება.

მაშ ასე, ბრაზილილებმა 5 ქულით დაასრულეს წინასწარი ტურნირი და მოხვდნენ ფინალურ ოთხეულში, სადაც მათ გარდა თამაშის უფლება შვედებმა, ესპანელებმა და ურუგვაელებმა მოიპოვეს. ურუგვაელები მაინც ძალიან იოლად გავიდნენ ფინალში — ერთადერთ მატჩში ბოლივიელები დაამარცხეს ანგარიშით 8-0. აქედან 5 გოლი ხუან სკიაფინომ გაიტანა. აქ ერთი რამეც იყო საყურადღებო — წინასწარი თამაშები 2 ივლისს დამთავრდა, გუნდებს კი ერთკვირიანი შესვენება მიეცათ და მხოლოდ 9 ივლისს გააგრძელეს ბრძოლა. ბრაზილიელებს მომავალ ჩემპიონებს უწოდებდნენ, არავინ ლაპარაკობდა მოსალოდნელ მეორე და მესამე პრიზიორებზე. ეს, საერთოდ, არ მიაჩნდათ სალაპარაკო თემად.

როცა პირველ ფინალურ მატჩში მასპინძლებმა შვედებს მძიმე დარტყმა აგემეს ანგარიშით 7-1, ხოტბა კიდევ უფრო გაძლიერდა. მათ „ოსტატებს, ჟონგლიორებს, ვირტუოზებს, პროფესორებს" უწოდებდნენ, მოსწონდათ მათი ტაქტიკური სქემაც, როცა მეკარის სიახლოვეს სამი მცველი იყო განლაგებული, ამასთან, სამი ნახევარმცველი და ოთხი თავდამსხმელი ჰყავდათ. 4 გოლი ამ მატჩში ცენტრალურმა თავდამსხმელმა ადემირმა გაიტანა, 2 — მარცხენა გარემარბმა ჩიკომ, კიდევ 1 — მარჯვენა გარემარბმა მანეკამ. საინტერესოა, რომ შვედებმა ის ერთადერთი ბურთიც პენალტით (ანდერსონი) გაიტანეს. შეხვედრის დამთავრების შემდეგ ინგლისელმა მსაჯმა ელისმა განაცხადა, რომ ფეხბურთის სამყაროში არ არსებობდა ძალა, რომელსაც შეეძლო ბრაზილიელების შეჩერება. ეს აზრი იმანაც გააძლიერა, რომ ურუგვაია — ესპანეთის მატჩი ფრედ — 2-2 დამთავრდა. ესპანელები ძალიან კარგად თამაშობდნენ და ბასორას ორი გოლის წყალობით წინ იყვნენ, მაგრამ უკანასკნელ წუთზე ვარელამ იხსნა მატჩი.

13 ივლისს „მარაკანაზე" ბრაზილიელები და ესპანელები ხვდებოდნენ ერთმანეთს, სან-პაულუს „პაკაემბუზე" კი ურუგვაი და შვეცია. ესპანელებმა ვერ შეძლეს მასპინძლებისათვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა. ბრაზილიელებმა 6 გოლი გაიტანეს: ორ-ორი ადემირმა და ჩიკომ, თითო ჟაირმა და ზიზინიომ. ზიზინიოს მეექვსე გოლმა ნამდვილი ალტაცება გამოიწვია. თავდამსხმელი ესპანელთა კარისაკენ დაიძრა, მოხდენილად აუარა გვერდი სამ მცველსა და მეკარე ეისაგირეს, მაგრამ კარში არ დაურტყამს. მან მოუცადა, სანამ ეისაგირე კარში ჩადგებოდა, მაშინ კი კიდევ ერთხელ მოატყუა და ბურთი ბადეში გაახვია. მატჩის მიწურულს იგოამ ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა — 6-1 ბრაზილიელების სასარგებლოდ. ესპანელებმა ასეთი სასტიკი მარცხი ურუგვაელებთან მეტად მომქანცველი შეხვედრით ახსნეს. უიღბლოდ ჩაატარეს მატჩი ურუგვაელებთან შვედებმა. შეხვედრის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე ევროპელები წინ იყვნენ — 2-1, მაგრამ შემდეგ მიგუესმა ორი გოლი გაიტანა და მოაგებინა თავისიანებს. ამ შეხვედრას „მიგუესის დღე" ეწოდა.

მაშ ასე, ყველაფერი მესამე ტურის მატჩს უნდა გადაეწყვიტა, ბრაზილიელებსა და ურუგვაელებს შორის, სადაც მასპინძლებს ფრეც აძლევდათ ხელს (თუმცა ამაზე ვინ ფიქრობდა!), მსოფლიოს პირველ ჩემპიონებს კი მხოლოდ მოგებაზე უნდა ეზრუნათ. ამ მომენტისათვის „მარაკანაზე" მხოლოდ 170 ათასი ადგილი იყო, ორგანიზატორებმა 200 ათასი ბილეთი გაყიდეს, რა თქმა უნდა, მეტი შევიდა და იყო ერთი არნახული სივიწროვე და ჰეჭყა: თამაშის წინ ორივე მწვრთნელს პრობლემები შეექმნა. ფლავიო კოსტა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის დაშავებას უჩიოდა. მისი ურუგვაელი კოლეგა ხუან ლოპესი შეშფოთებული იყო იმით, რომ ვერ ითამაშებდა შვედებთან დაშავებული ვიდალი. მაშინ მან გაბედული გადაწყვეტილება მიიღო და ვიდალის ადგილი 18 წლის მორანს დაუთმო. ფინალური მატჩის მსვლელობამ მისი იმედები სავსებით გაამართლა.

მატჩის გაძღოლა ინგლისელ არბიტრ ჯორჯ რიდესს დაევალა. გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: **ბრაზილია:** ბარბოსა — აუგუსტო, ჟუვენალი — ბაუერი, დანილო, ბიგოდე — ფრიაკა, ზიზინიო, ადემირი, ჟაირი, ჩიკო. **ურუგვაი:** მასპოლი — ტიერა, მ. გონსალესი — გამბეტა, ვარელა, ანდრადე — ჩიგია, პერესი, მიგუესი, სკიაფინო, მორანი.

როგორც იმდროინდელი ექსპერტები იუწყებოდნენ, ურუგვაის ნაკრები ერთი ცენტრალური ღერძის გარშემო იყო შემოკრებილი. ამ ღერძს კი შეადგენდნენ მეკარე მასპოლი (რომელიც შარშან 80 წლის ასაკში ურუგვაის ნაკრებს ედგა სათავეში), მცველი მ. გონსალესი, კაპიტანი ვარელა და ცენტრფორვარდი მიგუესი. ყველაზე პოპულარული კი იყო არაჩვეულებრივი ელეგანტური „დონ ხუან" ალბერტო სკიაფინო, რომელიც ფინალური მატჩის შემდეგ ჩემპიონატის №1 ფეხბურთელად აღიარეს.

ყველა ბრაზილიელი თავისი ნაკრების წარმატებას ელოდა. გაზეთმა „კრუზეირომ" სპეციალური ნომერიც კი მოამზადა ასეთი სათაურით — „ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები ვართ!", „ბრაზილიელების გამარჯვება!". არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ შეიძლებოდა გამარჯვება სულ სხვა ნაკრებს ეზეიმა.

რიდესმა თამაშის დაწყების ნიშანი მისცა. ადემირმა ბურთი თამაშში შეიყვანა და ბრაზილიელების მთელი გუნდი მეტოქეს ეკვეთა. მასპოლი ბრწყინვალედ იცავდა კარს. მცველები უკიდურესი დაძაბვით თამაშობდნენ. პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. თამაშის განახლების შემდეგ ეგზალტირებული ბრაზილიელი გულშემატკივრები თავისი გუნდისაგან მხოლოდ შეტევას მოითხოვდნენ. ეს გარემოება კარგად გამოიყენეს ურუგვაელებმა და რამდენჯერმე მიგუესი ბარბოსას კარის წინ სახიფათო პოზიციაზე აღმოჩნდა. სკიაფინომ და მორანმა ოდნავ ააცილეს ბურთი კარს. ამ მომენტებმა დიდი სიამოვნება მოჰგვარეს ურუგვაელ გულშემატკივრებს, მაგრამ ისინი ხომ „მარაკანაზე" სულ ათასნი იყვნენ. ანგარიში ბრაზილიელებმა გახსნეს. ზიზინიოს გარღვევის შემდეგ ჩინებულად ითამაშა ჟაირმა, ბურთი კი ფრიაკამ გაიტანა. ურუგვაელებს, ცხადია, ფარხმალი არ დაუყრიათ. 66-ე წუთზე სკიაფინომ მაღალი ტექნიკა გამოავლინა, დაამუშავა ჩიგიას მიერ მიწოდებული ბურთი და ანგარიში გაათანაბრა — 1-1. თამაშის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე ჩეგიამ მცველებიც მოატყუა, მეკარე ბარბოსაც, მეორე ბურთი გაიტანა და ბრაზილიის ნაცვლად მსოფლიო ჩემპიონი ურუგვაი გახდა. ვისთვის ეს უდიდესი ტრაგედია იყო, ვისთვის კი დიდი ზეიმი.

ბრაზილია საყოველთაო მწუხარებამ მოიცვა. „მარაკანას" სტადიონზე 4 კაცი გარდაიცვალა: აქედან ორმა თავი მოიკლა, ორსაც გული გაუსკდა.

**ბივი ბამრეკელი**

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №30

FRANCE 98 INFORMATIONS

## ლუის ფიგუ: ბრაზილია გაიმარჯვებს, ბრწყინვალე ვარსკვლავებისაგან შემდგარი გუნდია

**ეს ტექნიკური ფეხბურთელი ამჟამად ევროპული კლასის ერთ-ერთი ვარსკვლავია. მან ეს გზა ერთი შეხედვით იოლად გაიარა. ლისაბონის „სპორტინგში" გატარებული წლები წარსულს ჩაბარდა და ახლა ფიგუ „ბარსელონას" ერთ-ერთი ლიდერია, ხოლო ამ გუნდის ლიდერობა რას ნიშნავს, ეს ყველას კარგად მოეხსენება.**

● ***ლუის, ბავშვობაში გჯეროდათ, რომ ამხელა წარმატებებს მიაღწევდით?***

– როგორ გითხრათ. მინდოდა, რომ დიდი ფეხბურთელი გამოვსულიყავი. ვფიქრობ, ეს, ასე თუ ისე, შევძელი.

● ***რომელი ფეხბურთელისგან იღებდით მაგალითს? კერპი, ალბათ თქვენც გეყოლებოდათ...***

– მყავდა და ახლაც მყავს. პაოლო ფუტრე შეუდარებელი იყო, თუმცა ახლაც არ გამოიყურება ცუდად. რა თქმა უნდა, ბრმად არასოდეს ვბაძავდი, მაგრამ მხიბლავდა მისი ელეგანტური თამაში და ნატიფი ტექნიკა.

● ***თქვენ უამრავი ტიტული გაქვთ. პირველად იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვეთ. როგორმა გრძნობამ შეგიპყროთ მაშინ?***

– შესანიშნავად ჩავატარეთ ტურნირი და გამარჯვება ნამდვილად დავიმსახურეთ. მახსოვს, როცა ფინალური თამაში დამთავრდა, მთელი გუნდი სიხარულით ღრიალებდა, მე, საერთოდ, ნაკლებად ემოციური კაცი ვარ. გრძნობების ბავშვივით გამოხატვა არ მჩვევია.

● ***„ბარსელონას" შესანიშნავი შანსი აქვს ესპანეთის ჩემპიონობა მოიპოვოს. თქვენ, როგორც არაესპანელი, მთელი სულით და გულით გიხარიათ მადრიდის „რეალის" დაჩოქება?***

– საკმარისია, ბარსელონაში ერთი დღე გაჩერდე, რომ უმალ ალიგზნები მადრიდის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, მტრული გაგებით. ისე კი, მართალი თქვით, როცა შეამჩნიეთ, რომ ხალხი უფრო მეტად გამოხატავს ემოციებს „რეალის" წინააღმდეგ. მაგალითად, ხოსეპ გვარდიოლა მადრიდელებთან თამაშის წინ კბილებს ილესავს და „მსუყე" გამოთქმებსაც არ ერიდება.

● ***ამ სეზონში კი „რეალი" ორჯერ დაამარცხეთ...***

– აქედან ერთხელ პირწმინდად წავლეკეთ. გოლიც ლამაზი გამომივიდა. მადრიდში კი ძალიან დაძაბული და წარმოუდგენელი გამარჯვება მოვიპოვეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ „ბარსელონა" „რეალზე" ძლიერია.

● ***ეს ესპანეთის ჩემპიონატში, ახლა კი მოდით ჩემპიონთა ლიგაზე ვილაპარაკოთ. ბოლოს, ასე ცუდად როდის იასპარეზა „ბარსამ" ევროტურნირებზე, ძნელი გასახსენებელია.***

– ასეთ შედეგებს არ ველოდი. ლუის ვან გაალი თავიდან ვერ შეეჩვია ესპანურ ფეხბურთს. გუნდს აშკარად აკლდა დისციპლინა და მებრძოლი სული. სამწუხაროა, რომ ჩვენი კრიზისი სწორედ ლიგის თამაშებს დაემთხვა. კიევის „დინამომ" ფანტასტიურად ითამაშა და მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. სწორედ ორგანიზებულობით დაგვამარცხეს. მაშინ ვიფიქრე, რომ ლობანოვსკის გუნდს წინ ვერავინ დაუდგებოდა. აბა წარმოიდგინეთ, ორი თამაშის განმავლობაში „ბარსამ" კიეველებს მომენტი ვერ შეუქმნა, როცა საკუთარ კარში 7 გოლი მიიღო.

● ***თქვენ მოხეტიალე ფეხბურთელს გიწოდებენ. გარემარბის გარდა, რომელიმე ამპლუა გაგისინჯიათ?***

– არა, ყოველთვის ფრთაზე ვთამაშობდი. ორივე ფეხს კარგად ვხმარობ, რაც ძალიან მეხმარება შეტევების მოსაწყობად, მაგრამ სისწრაფე მაკლია. ეს კი განაპირა თავდამსხმელისთვის ნაკლია. მიუხედავად ამისა, ინდივიდუალური მოქმედებით გავდივარ ფონს.

● ***ბარსელონაზე, როგორც ქალაქზე, რას იტყვით?***

– მსოფლიოს საუკეთესო ადგილად მივიჩნევ. აქ ზღაპრული სამყარო და თბილი ხალხია.

● ***ალბათ არც ფიქრობთ სხვაგან გადასვლაზე?***

– არა. არ ვიცი, რა უნდა მოხდეს, „ბარსადან" რომ წავიდე. აქაურობა ყველაფრისგან განსხვავდება, ფეხბურთიც გამორჩეულია. ფანები კი მართლაც სასწაულებს სჩადიან.

● ***მსოფლიოს ჩემპიონატზე ვის უგულშემატკივრებთ?***

– ამ სეზონმა ისე დამღალა, რომ იქნებ ტელევიზორის ყურების თავიც არ მქონდეს. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. ვგულშემატკივრობ და მგონია კიდეც, რომ ბრაზილია გაიმარჯვებს, ბრწყინვალე ვარსკვლავებისაგან შემდგარი გუნდია. მარტო რონალდო რად ღირს. ფინალში ბრაზილია — საფრანგეთი ითამაშებენ.

**„ბრავო სპორტის"**
**მასალების მიხედვით მოამზადა**
**ილია ნანობაშვილმა**

## FRANCE 98 INFORMATIONS

### ივიჩის დებიუტი ირანში წარუმატებელი გამოდგა

ეს რიგითი ოთხთა ტურნირია, რომელიც მასპინძელთა ფედერაციამ საკუთარი ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატისათვის უკეთ მომზადების მიზნით მოაწყო. ქართველთა ყურადღებას ეს ასპარეზობა მხოლოდ იმითღა იპყრობს, რომ მასში დაგეგმილი იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების მონაწილეობაც, მაგრამ მოულოდნელად ირანელებმა გვიგანეს და სხვების მოწვევა გადაწყვიტეს.

### ირანის საერთაშორისო ტურნირი

**ირანი — უნგრეთი 0-2**
კორსოში (16), ილეში (58)
**მაკედონია — იამაიკა 2-1**
ხრისტოვი (17,45), ჰოლი (69, პენ.)

მოხდა ისე, რომ საფრანგეთისთვის სამზადისში მყოფმა გუნდებმა ირანმა და იამაიკამ ტურნირის პირველივე დღეში მარცხი განიცადეს. თუ ყარიბეთის აუზის ქვეყნის გუნდის წარუმატებლობა მაყურებლებმა, ასე თუ ისე, კანონზომიერად აღიქვეს, ამას ვერ ვიტყვით მასპინძელთა ნაკრებზე — მისგან ყველა გამარჯვებას ელოდა, მაგრამ მატჩის შემდეგ ირანელთა ხორვატი მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი 50 ათასმა გულშემატკივარმა სტვენით გააცილა.

დღეს ტურნირის ფინალში უნგრეთი მაკედონიას ხვდება, ხოლო მესამე ადგილისათვის ირანი იამაიკას ეთამაშება.

### გულიტი ჟურნალისტი გახდა

„ჩელსიდან" განთავისუფლებულმა გულიტმა სულ მალე მონახა თავისთვის შესაფერისი სამუშაო. იგი ჟურნალისტი გახდა, სისტემატურად თანამშრომლობს პოპულარულ ყოველკვირეულ „ობსერვერთან", სადაც საფეხბურთო მიმოხილვებს ათავსებს. ამ ყოველკვირეულთან ფეხბურთის სხვა სპეციალისტებიც თანამშრომლობენ.

გარდა ამისა, რუუდ გულიტი მოელაპარაკა კერძო ტელეკომპანია აიტი-ვის, რომლისთვისაც მატჩების კომენტარს გააკეთებს. მისი დებიუტი, როგორც ტელეკომენტატორისა, 16 მაისს გაიმართება, როცა ინგლისის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ნიუკასლი" და „არსენალი".

### ჩილავერტი პარიზში?

ბევრ სპეციალისტს ახლა პარაგვაის ნაკრების მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი, თავისი ექსცენტრული საქციელით განთქმული, მსოფლიოში უძლიერესად მიაჩნია. ამ აზრის სისწორეში ახლა არაერთი მცოდნეა დარწმუნებული, მათ შორის ... ჩილავერტიც!

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, რომელსაც ჩილავერტიმ მეტად იმედიანად უყურებს, იგი „პარი სენ-ჟერმენში" აპირებს კარიერის გაგრძელებას.

### „ძალიან ნიჭიერი სპეციალისტია"

ასე ფიქრობენ ფეხბურთის მიმომხილველები ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელ ეგილ ულსენზე (1942), თუმცა იგი თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ნაკლებადაა ცნობილი. ოდესღაც იგი თვით იყო ნორვეგიის ნაკრების მოთამაშე (16 მატჩი ჩაატარა), გამოდიოდა „ვოლერენგენსა" და „სარნსბერგში". შემდეგ სრულიად უმნიშვნელო კლუბი „ლიუნი" მესამე დივიზიონიდან პირველში გადაიყვანა. 1979-1985 წლებში ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა, 1985-1990 წლებში — ოლიმპიურ ნაკრებს, 1990 წელს პირველი ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, სადაც მეტად სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ასეთად, გარდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საგზურის მოპოვებისა, მიაჩნიათ შარშან მაისში ოსლოში „ულევაალის" სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონების — ბრაზილიელების დამარცხება ანგარიშით 4-2. ისიც ვთქვათ, რომ მატჩს ბრაზილიელები ერთ მომენტში აგებდნენ 0-4.

### მსაჯები დარბიან...

პარიზში გაიმართა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების არბიტრების შეკრება. მათ გაიარეს სპეციალური ტესტი ფიზიკურ მომზადებაში, რომელიც სამი კროსისაგან შედგებოდა: 50, 200 და 2700 მეტრზე. მსაჯებს პირველი 7,5 წამში უნდა დაეფარათ, მეორე 32 წამში, მესამე კი 12 წუთში.

ტესტის შედეგებს მოგვიანებით გამოვაქვეყნებთ.



# ბერტის გერმანული მანქანის ხელმეორედ აღზევება — ილუზია თუ რეალობა?

## ოლივერ ბირჰოფის „ოქროს გოლის" შემდეგ ბერტი ფანების ტრიბუნას მიუახლოვდა და მათთან ერთად შემოსძახა: „ოლე, ოლე!"

„ოდესღაც მაფასებდნენ როგორც მოთამაშეს, დღეს კი თანამემამულეები კვლავ სკანდირებენ ჩემს სახელს — ესე იგი, როგორც იქნა მოვიპოვე აღიარება, როგორც მწვრთნელმაც" — ეს სიტყვები ბერტი ფოგთსმა ბოლო ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის (გერმანია — ჩეხეთი 2-1) შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოთქვა. მაშინ „უემბლიზე" ბერტი მართლაც უსაზღვროდ ბედნიერი გახლდათ. ის ოლივერ ბირჰოფის „ოქროს გოლის" შემდეგ გერმანელი ფანების ტრიბუნას მიუახლოვდა და მათთან ერთად შემოსძახა: „ოლე, ოლე!" ყველაფერ ამას კი ფოგთსმა ქარტეხილებისა და ჯვარცმის გზის გავლით მიაღწია — ბერტის 1990-96 წლების ქრონიკა ბუნდესტრეინერის პოსტზე კვლავ საინტერესო და ამოუწურავ თემად რჩება საფეხბურთო წრეებსა და პრესაში...

ბერტი ფოგთსის ნაკრებში მისვლისას (1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგ) მყისვე დაიწყეს მისი შედარება ღვაწლმოსილ (როგორც მწვრთნელი) ფრანც ბეკენბაუერთან. ასეთი შედარებები, როგორც წესი, „კაიზერის" სასარგებლოდ მთავრდებოდა: თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ბეკენბაუერსაც ექვსი წელი დასჭირდა ტრიუმფისათვის (თუ არ ჩავთვლით გფრ-ს ვერცხლის მედლებს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე 1986 წელს). ფოგთსის ნაკრების მარცხი 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში დანიელებთან და სრული ფიასკო 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე (1/4 ფინალი, გერმანია — ბულგარეთი 1-2) გარკვეულწილად იმის ბრალიც იყო, რომ გერმანია ის გუნდი გახლდათ, რომელიც ბეკენბაუერმა შექმნა და ბერდებოდა. ფოგთს იმ წლებში ახალი გუნდი ნამდვილად არ შეუქმნია და როცა ეს გაითვითცნობიერა და რეფორმებს მიჰყო ხელი, შედეგმაც არ დააყოვნა. მაინც როგორ შედუღაბდა ფოგთსის გუნდი?

1994 წელს აშშ-ში (მსოფლიო XV ჩემპიონატზე) სამარცხვინო გამოსვლის შემდეგ „ხალხის მტრად" შერაცხული ბერტი ფოგთსი, რაღა თქმა უნდა, გადადგომას აპირებდა, მაგრამ მას გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი და თვით ქვეყნის კანცლერი ჰელმუტ კოლი მატრონსოვივით გადაეფარნენ. „ჩემს პოლიტიკურ კარიერაში რამდენიმეჯერ მომიხდა რთულ და ვითომდა გამოუვალ სიტუაციაში მოხვედრა. მაგრამ ყოველთვის თავს ვაღწევდი მას და თქვენც, როგორც მე, გადალახავთ საკუთარ სიძნელეებს, რათა ერთ დღეს გამარჯვება იზეიმოთ" — ასე ამშვიდებდა და ამხნევებდა კანცლერი ეროვნული გუნდის მწვრთნელს. ფოგთსის არგადადგომაში დიდი წვლილი შეიტანა მისმა მეუღლემაც და ბერტიც გულმოდგინედ შეუდგა ახალი გუნდის ჩამოყალიბებას. „ცუდი ბიჭები" შორს ეროვნული გუნდისაგან — ეს გახდა ფოგთსის პირველი პრინციპული და გაბედული ნაბიჯი. მან ხომ დღემდე არ აპატია ბუნდესლიგის კვლავინდებურად ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელ შტეფან ეფენბერგს გულშემატკივართა შეურაცხყოფა „პოპულარული" ჟესტით. ფოგთსის პრინციპულობის წყალობით ნაკრებს ჩამოშორდა გერმანული ფეხბურთის უდიდესი ავტორიტეტი ლოთარ მათეუსი, რის გამოც ეროვნულ გუნდში მოხვედრის პრეტენზიები გაუქრა „პენსიონერთა" მთელ ჯგუფს: ბუხვალდი, ბრემე, ბერტოლდი, ფიოლერი და ილგნერი. „მაშინ მივხვდი, რომ ჩვენ ყოველთვის მოწინააღმდეგე გუნდის თამაშს ვესადაგებოდით, იმის ნაცვლად, რომ პირიქით ჩვენი თამაში მოგვეხვია მათთვის. ჩემთვის აშკარა გახდა ახალი ტაქტიკური სქემის ჩამოყალიბება, რომელიც უფლებას მოგვცემდა გერმანული ხასიათის საუკეთესო თვისებები გამოგვევლინა — გამარჯვებისკენ სწრაფვა და გამოუვალი სიტუაციებისაგან თავის დახსნა. როცა ამას ვქადაგებდი, ყველანი ირონიული ღიმილით მპასუხობდნენ და წარუმატებლობას უიღბლობას აბრალებდნენ. ჩემთვის კი უიღბლობა, როგორც ასეთი გაგება არ არსებობს და ფეხბურთელებს მივუგე, რომ თუ ყველა თქვენგანი ათი პროცენტით მაინც ნაკლებად ეგოისტურები იქნებით, ჩვენს გუნდს შეუძლია ძალიან შორს წავიდესმეთქი" — ასე იხსენებს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ პერიოდს ბერტი ფოგთსი. მისი თქმით, ახალი გუნდის შექმნა 1995 წლის თებერვლიდან დაიწყო. გერმანელებმა ფრედ 0-0 ითამაშეს ესპანელებთან და ამ ამხანაგური მატჩის შემდეგ, იმავე საღამოს სასტუმროში ფოგთსმა საგანგებო კრებაზე უხმო ფეხბურთელებს. „ვთვლი, რომ იმ საღამოს დაიწყო გუნდის ერთ მუშტად შეკვრა, გუნდისა, რომელსაც ინგლისში ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება ეწერა" — ირწმუნება ბერტი, რასაც ძნელია არ დაუჯერო კაცმა. იმ საღამოს ფაქტობრივად ძალაუფლების ახლებური გადანაწილება მოხდა. ბერტი ფოგთსი არ შეუშინდა იმას, რომ გუნდის წამყვანი ფეხბურთელები მისი კონსულტანტები გახდნენ. ფოგთსი ყურად იღებდა კლინსმანის, ზამერისა და ჰელმერის აზრებს გუნდის ტაქტიკა-სტრატეგიაზე და ცალკეულ მოთამაშეებზეც კი. ბერტი ყოველივე ამით, რა თქმა უნდა, ცეცხლს ეთამაშებოდა. ვინ გამოიცნობდა, თუ როგორ გამოიყენებდნენ ამას გუნდის წამყვანი მოთამაშეები? ან როგორი რეაგირება მოჰყვებოდა დანარჩენი ფეხბურთელების მხრიდან პრივილეგირებული ფეხბურთელების აღმოცენების პრეცედენტს? სადღა უნდა გასულიყო ზღვარი მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის? მაგრამ ბერტიმ და მისმა გუნდმა ყველა მოსალოდნელ უსიამოვნებას გზა მოუსპეს, ხოლო თვით ფოგთსმა პრაქტიკული ფსიქოლოგის რეპუტაცია მოიპოვა. გერმანიის ნაკრებმა თვითგარდაქმნა წარმატებით გაიარა. დაამუშავა ახალი ტაქტიკური ვარიანტები (განსაკუთრებით დაცვის ხაზში), გუნდში საოცრად ჯანსაღი ფსიქოლოგიური ატმოსფერო დამკვიდრდა, დაწინაურდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ბერტიმ თხოვნით მიმართა ბუნდესლიგის ყველა იმ გუნდის მწვრთნელს, სადაც ნაკრების წევრები თუ კანდიდატები გამოდიოდნენ, რომ ყველა ამ მოთამაშეზე, სისტემატურად მიეწოდებინათ მისთვის ყველა სახის ინფორმაცია. თუმცა ამ თხოვნას ზოგიერთი კლუბის მწვრთნელი დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდრია და ფოგთსმაც გადაწყვიტა თვითონ ჩაეტარებინა თავისებური ინსპექცია ფეხბურთელებისთვის. „ყველაფერი თვითონ უნდა ვიცოდე, რათა მარცხის შემთხვევაში განტევების ვაცად არ მაქციონ" — ამბობდა ბერტი და ნაკრების უმთავრესი მომმარაგებელი გუნდების „დორტმუნდისა" და „ბაიერნის" ბაზებს თვეში ორჯერ მაინც ესტუმრებოდა-ხოლმე.

დღეს კი ბერტი ფოგთსი და გერმანიის ეროვნული გუნდი კვლავინდებურად სერიოზული პრობლემების წინაშე დგანან, რის გამოც პრესა და ცნობილი სპეციალისტები ერთობ სკეპტიკურად უყურებენ ნაკრების შანსებს საფრანგეთი-98-ზე. მაგრამ ბერტის ალბათ უკვე გამოძებნილი აქვს გუნდის ხელმეორედ აღზევების ელექსირი და თუ რარიგ ეფექტური გამოდგება იგი, მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში შევიტყობთ. მანამდე, მოდით, ფოგთსის ნალაპარაკევს გავეცნოთ, რაც ცნობილი გერმანული გამოცემებიდან („ბილდი", „კიკერი" და სხვ.) ფრაგმენტების სახით გადმოვაქართულეთ...

● ***მსოფლიო ჩემპიონატის ტრადიციულ ფავორიტთა შორის თქვენს გუნდს ბოლოში თუ მოიხსენიებენ, რაც ალბათ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელთა ხანდაზმული ასაკით და შესარჩევ ციკლში მათი არცთუ ისე დამაჯერებელი გამოსვლითაა განპირობებული...***

— ფეხბურთში არ არსებობენ ახალგაზრდა და ბებერი ფეხბურთელები, ფეხბურთში არსებობენ ცუდი და კარგი ფეხბურთელები. თუ ვეტერანი კარგ ფიზიკურ ფორმაშია, მას თავისი გამოცდილებით დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია გუნდისათვის. რაც შეეხება ჩვენს გამოსვლას შესარჩევ ტურნირში, თუ საფრანგეთშიც ასევე ვითამაშებთ, მაშინ დროზე ადრე მოგვიწევს ჩემპიონატთან გამომშვიდობება.

● ***მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების შემთხვევაში რა თანხას მიიღებენ მოთამაშეები?***

— ასეთ შემთხვევაში თითოეული ფეხბურთელი — 120 ათას მარკას მიიღებს, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად იმის იმედი მაქვს, რომ ისინი, პირველ რიგში, თავიანთი ქვეყნის პრესტიჟზე და ღირსებაზე იფიქრებენ.

● ***თქვენთვის ალბათ ძალიან დიდად ფასობს ცალკეული ფეხბურთელების შეხედულება მორალზე...***

— გერმანიის საფეხბურთო კავშირის ერთ-ერთი დევიზია „ფეხბურთი — ეს უფრო მეტია, ვიდრე 1-0". განსაკუთრებით ვაფასებ მოთამაშეებს მტკიცე ხასიათითა და გამარჯვებისაკენ დიდი სწრაფვით, მოთამაშეებს, რომლებისთვისაც გამარჯვება პრემიაზე უფრო მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელი სხვადასხვა საზოგადოებრივ ფონდს უწევს დახმარებას, ჩვენ მხოლოდ ფართოდ რეკლამირებულ ანტინარკომანიულ კამპანიაში როდი ვმონაწილეობთ. დახმარება გავაგზავნეთ მექსიკაში, ბულგარეთში და სხვა ქვეყნებშიც. კლინსმანმა პირადად გაუგზავნა ფული რუმინეთის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელს. ჰელმერმა სულაც საკუთარი ქველმოქმედების ფონდი შექმნა. ამხანაგურ მატჩებზე ინვალიდებს ჩვენი ინიციატივით ეძლევათ საშუალება მინდვრის ნიშნულიდან ადევნონ თვალი თამაშს. ხოლო სულ ახლახან შტუტგარტში, ბევრ ბავშვს მივეცით საშუალება უფასოდ დასწრებოდა თამაშს ბრაზილიასთან, აგრეთვე უფასოდ დავასწარით მატჩს 200-ზე მეტი პოლიციელი, რომლებიც მხოლოდ მატჩის სანახავად მოვიწვიეთ და არა თავიანთი სამუშაოს შესასრულებლად.

● ***იურგენ კლინსმანს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს, თქვენ კი მას ეროვნული გუნდის კვლავ წამყვან ფორვარდად მიიჩნევთ...***

— კლინსმანი „სამპდორიიდან" „ტოტენჰემში" ჩემი რეკომენდაციით გადავიდა. ამას წინათ გახლდით ინგლისში და დავრწმუნდი, რომ იურგენი ნორმალურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ფორმაშია. „ტოტენჰემის" ხელმძღვანელობასთან შევთანხმდი, რომ თუ კლინსმანს რაიმე პრობლემები გაუჩნდება, მყისვე მაცნობონ ამის შესახებ, მაგრამ ტელეფონი დუმს, ესე იგი, ყველაფერი რიგზეა. ვფიქრობ, კლინსმანი საფრანგეთშიც იტყვის თავის სიტყვას. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ კლინსმანი ნაკრების ბოლო რამდენიმე მატჩებს უგულოდ ატარებს, ამის გამო ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. მაგალითად, იყო პერიოდი, როცა თვით გერდ მიულერმა ზედიზედ 12 უგოლო მატჩი ჩაატარა ნაკრებში.

● ***ზამერის საფრანგეთი-98-ზე მონაწილეობის შანსებზე რას გვეტყვით?***

— მათიასთან გუნდის თამაშის ტაქტიკა-სტრატეგიაზე დილიდან საღამომდე შეიძლება ლაპარაკი. ის მინდორზე სულ ფიქრობს და სიტუაციებს მოჭადრაკესავით აანალიზებს. კარიერის დამთავრების შემდეგ მას არ მოუწევს მწვრთნელთა სკოლაში სიარული, მან ისედაც უკვე ყველაფერი იცის. მაგრამ თითოეული დღე გუნდთან ვარჯიშის გარეშე, ეს დაკარგული დღეა. გერმანული ფეხბურთი ვალშია ზამერთან და ნაკრების კარი მისთვის დღესაც ღიაა. ისე კი, ზამერი არამარტო კარგ ფიზიკურ ფორმაში უნდა იყოს მსოფლიო ჩემპიონატისთვის, არამედ მას სათამაშო პრაქტიკაც უნდა ჰქონდეს. ამის შესაძლებლობა კი ძალიან მცირეა — თუ ზამერი 100 პროცენტით არ იქნება მზად, მაშინ ნაკრებში ვეღარ ავიყვან. მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მინდა, რომ ზამერი გუნდში კვლავ თამაშობდეს და ამისთვის ჯერ კიდევ გვაქვს დრო.

**P.S. „გვიყვარს გამარჯვებები, ტიტულები. დღევანდელი გერმანიის ეროვნული გუნდის ბევრ ფეხბურთელს უკვე აქვს მოპოვებული ბევრი ტიტული — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის, ეროვნული ჩემპიონატების. მაგრამ ისინი არასდროს „დანაყრდებიან" ტიტულებით — ასე ვართ აწყობილნი გერმანელები. პროფესიულ ფეხბურთში მოსვლის პირველი დღიდან წნეხის ქვეშ ვექცევით — ასეთია ამ სისტემის მოთხოვნა, რომელიც მხოლოდ ჩვენს გამარჯვებებზე მუშაობს. მეტსაც ვიტყვი: ჩვევა იმისა, რომ ზეწოლის ქვეშ ვცხოვრობთ, ჩვენი ძლიერი მხარეა. ეს უფლებას გვაძლევს გადამწყვეტ მომენტში სხვებზე ძლიერები ვიყოთ. ჩვენი მეტოქეები ასეთ ზეწოლას შემთხვევიდან შემთხვევამდე განიცდიან და მათ არ შეუძლიათ ამას თავი გაართვან, ჩვენ კი შეგვიძლია" — ფრანც ბეკენბაუერი.**

**მოამზადა
უცხოეთის სპორტის
განყოფილებამ**

### ხილმა საქი დაიყოლია

მაშ ასე, გადაწყვეტილი ამბავია, გულმა გული იცნო: ჭირვეული ხასიათით ცნობილმა ადამიანებმა ერთმანეთი იპოვნეს. ლაპარაკია მადრიდის „ატლეტიკოს" კლუბის უტიფარ პრეზიდენტ ხესუს ხილსა და ახლო წარსულში სკუადრა აძურას თავკაც არიკო საკიზე. ესპანური პრესის ცნობით, იტალიელი სპეციალისტი იუგოსლაველ მწვრთნელს რადომირ ანტიჩს შეცვლის.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ვიალის ვერავინ დაემდურება

ლონდონის „ჩელსის", როცა მას რუუდ გულიტი წვრთნიდა, ჩემპიონობის იმედი ჰქონდა, მაგრამ როცა აქედან არაფერი გამოვიდა, სურინამელი ჰოლანდიელი მოთამაშე მწვრთნელი ასევე მოთამაშე მწვრთნელმა, იტალიელმა ჯანლუკა ვიალიმ შეცვალა.

ახლა ვიალის ვერავინ დაემდურება. „ჩელსიმ" მისი ხელმძღვანელობით ინგლისის ლიგის თასი მოიპოვა, რაც უეფას თასზე მონაწილეობის უფლებას ნიშნავს. თვით ვიალი თითქმის სისტემატურად და კარგად თამაშობს, მაგრამ ლიგის თასის ფინალში „მიდლსბროსთან" მატჩში მონაწილეობისაგან მაინც თავი შეიკავა და სტადიონზე ელეგანტურ კოსტუმში გამოწყობილი მივიდა. „დარწმუნებული ვიყავი, რომ სპარკი (მარკ ჰიუზი), ტორი (ტორე-ანდრე ფლო) და ფრანკო (ჯან-ფრანკო ძოლა) ჩემზე უკეთ ითამაშებდნენ" — თქვა ვიალიმ.

ახლა მოთამაშე მწვრთნელი თასების მფლობელთა თასზე ფინალურ მატჩში „შტუტგარტთან" შესახვედრად ემზადება და დიდი იმედებიც აქვს.

# „არც ჩინეთში ვითამაშებ და არც აზიის სხვა რეგიონში“

**ის, რაც ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიო პირველობის გათამაშებას ეხება, კვლავინდებურად აღელვებს ჩვენს გულშემატკივარს. მართალია, დღეისათვის არც ჩემპიონი გვყავს და არც პრეტენდენტი (პირველად, მრავალი წლის შემდეგ!), მაგრამ დაკარგულის დაბრუნებისათვის ხომ უნდა ვიბრძოდეთ!**

დღეს ქალთა ჭადრაკში მართლაც რომ ბუნდოვანი მდგომარეობაა. ამბობენ, მსოფლიო ჩემპიონი ჟუჟა პოლგარი თავისი წოდების დაცვას აღარ აპირებს, სხვა ინტერესები გაუჩნდა, თუმცა რაიმე ოფიციალური განცხადება აქამდე არ გაუკეთებია. არის მსოფლიო ჩემპიონობის ორი პრეტენდენტი ყაზანელი ალისა გალიამოვა და ჩინელი სიუ ქუნი, რომელიც 6 წელს ფლობდა უმაღლეს წოდებას. ახლა ისინი პრეტენდენტთა ფინალური მატჩისათვის ემზადებიან, რომელიც შეიძლება სრულიად იოლად, პოლგარის უარის შემთხვევაში მსოფლიო პირველობის ორთაბრძოლადაც იქცეს. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ნაწყვეტებს მსოფლიო პირველობის ერთ-ერთ პრეტენდენტ ალისა გალიამოვას ვრცელი ინტერვიუდან.

● *თქვენ განაცხადეთ, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ცოტას თამაშობდით. ხომ არ იმოქმედებს ეს გარემოება თქვენს მზადებაზე პრეტენდენტთა ფინალური მატჩისათვის?*

— ძნელია ჩემი ახლანდელი მდგომარეობის შესახებ რაიმე კონკრეტული ვთქვა, მაგრამ უახლოეს ხანებში მეწყება სათამაშო პრაქტიკა. ჯერ რუსეთის ჩემპიონატში გამოვალ ელისტაში, შემდეგ იქვე დაიწყება ყალმუხეთის პრეზიდენტის თასის გათამაშება. ვითამაშებ სხვადასხვა საკლუბო ტურნირებშიც. იმედია, ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის.

● *მომავალ მატჩზე სიუ ქუნთან ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ყველაფერი ჯერჯერობით ბუნდოვანია.*

გალიამოვა თვით შეეკითხა: თუ საიდუმლო არ არის, რას ლაპარაკობენ?

● *უპირველეს ყოვლისა, ჩინელები თვით გვთავაზობენ მატჩის ჩატარებას და თანახმანი არიან შექმნან სამატჩო ფონდი 120 ათასი დოლარის ოდენობით. გარდა ამისა, იმასაც ამბობენ, რომ თქვენ არ გინდათ ჩინეთში ითამაშოთ. განიხილავენ ამ მატჩის თურქეთში ჩატარების შესაძლებლობასაც.*

— გულახდილად რომ გითხრათ... ჯერ საქმის კურსში არა ვარ. ყაზანში ამ საქმეებს ჩვენი სპორტის მინისტრი უძღვება. ვიცი, რომ იგი მატჩის საკითხს რუსეთის ოლიმპიურ კომიტეტთან განიხილავდა. ერთადერთი წინადადება მართლაც ჩინეთიდან იყო, მაგრამ უარი განვაცხადე იქ მეთამაშა, თუმცა ინტერნეტშიც და გაზეთებშიც გამოქვეყნდა განცხადება ჩემი თანხმობის შესახებ. მოსკოვში იყო მოლაპარაკება, უფრო სწორედ, წინასწარი საუბარი და სხვა არაფერი, თურქეთის საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენელთან. ცოტა დრო რჩება, თურქს კი რაიმე გარანტია არ მოუცია. რა თქმა უნდა, ამ მატჩის ჩატარება ყაზანსაც სურდა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ჩინელებზე მეტი საპრიზო ფონდი დავაწესოთ. თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ სიუ ქუნი ჩვენთან თამაშს არ მოისურვებს.

● *თქვენ თვითონ სად გსურდათ თამაში?*

— ჩინეთში არავითარ შემთხვევაში არ ვითამაშებ! და არც სადმე აზიის რეგიონში. იქ ხშირად ვყოფილვარ... ყველას ნეიტრალურ ქვეყანაში თამაში სჯობს.

● *მატჩი სერიოზული იწყება, ვისგან შედგება თქვენი გუნდი?*

— მუდმივი გუნდი არ არსებობს. მთავარი სეკუნდანტი და თანაშემწე კი ალექსანდრ ფილიპენკოა. ჩვენ ხშირად ვმუშაობთ ერთად.

● *ექიმები, მასაჟისტები, მზარეულები...*

— (ეცინება). როცა საჭიროა, მასაჟს მე თვით ვიკეთებ. მზარეული დედაჩემია (ეცინება). რაც შეეხება საექიმო მომსახურებას, იგი უპრობლემოდ მაქვს.

● *ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი აპირებს მომდევნო ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი „ნოკაუტ-სისტემით“ ჩაატაროს. ბევრ დიდოსტატს სასტიკად არ მოსწონს ეს სისტემა. თქვენ როგორ ფიქრობთ?*

— კარგად არ ვიცნობ ამ სისტემას. აი ახლა ვითამაშებ რუსეთის ჩემპიონატში, რომ იტყვიან, საკუთარ თავზე გამოვცდი, რას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მას დადებითი მხარეებიც აქვს და უარყოფითიც, ვინც მას აკრიტიკებს, დეე, უკეთესი შემოგვთავაზოს. ის სისტემა, რომელიც, როგორც ისინი ამბობენ, 100 წელი მოქმედებდა, უკვე მოძველდა. რატომ არის საჭირო ასეთი ხანგრძლივი შეჯიბრებები? ახლა იმ საჩემპიონო ციკლში ვთამაშობ, რომელიც ჯერ კიდევ 1995 წელს დაიწყო. ამას ყოველწლიური მსოფლიო ჩემპიონატი სჯობს. აქამდე ამიტომაც იყო ძნელი სპონსორების გამოძებნა. მართალია, „ნოკაუტ-სისტემაში“ დიდია შემთხვევითობის ელემენტი, შეიძლება ნებისმიერი რამ მოხდეს. ეს თუნდაც გრონინგენის შეჯიბრებამაც დაამტკიცა. მაგრამ ცხოვრება სწრაფად იცვლება, საჭიროა სიახლეების შეტანა.

## ნბა: ჩემპიონატი დამთავრდა, წინ პლეი-ოფია

დასრულდა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატი, რომელშიც გამარჯვებული ორია — შარშანდელმა ჩემპიონმა „ჩიკაგომ“ და ფინალისტმა „იუტამ“ ასპარეზობა 62-62 მოგებით დაასრულეს. ახლა 16 გუნდი პლეი-ოფში გაარკვევს ურთიერთობას.

**ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი:**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| **ჩიკაგო** | **62** | **20** | **75,6** |
| **ინდიანა** | **58** | **24** | **70,7** |
| **მაიამი** | **55** | **27** | **67,1** |
| **შარლოტი** | **51** | **31** | **62,2** |
| **ატლანტა** | **50** | **32** | **61,0** |
| **კლივლენდი** | **47** | **35** | **57,3** |
| **ნიუ-ჯერსი** | **43** | **39** | **52,4** |
| **ნიუ-იორკი** | **43** | **39** | **52,4** |
| ვაშინგტონი | 42 | 40 | 51,2 |
| ორლანდო | 41 | 41 | 50,0 |
| დეტროიტი | 37 | 45 | 45,1 |
| მილუოკი | 36 | 46 | 43,9 |
| ბოსტონი | 36 | 46 | 43,9 |
| ფილადელფია | 31 | 51 | 37,8 |
| ტორონტო | 16 | 66 | 19,5 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 62 | 20 | 75,6 |
| სიეტლი | 61 | 21 | 74,4 |
| ლეიკერსი | 61 | 21 | 74,4 |
| ფენიქსი | 56 | 26 | 68,3 |
| სან-ანტონიო | 56 | 26 | 68,3 |
| პორტლენდი | 46 | 36 | 56,1 |
| მინესოტა | 45 | 37 | 54,9 |
| ჰიუსტონი | 41 | 41 | 50,0 |
| საკრამენტო | 27 | 55 | 32,9 |
| დალასი | 20 | 62 | 24,4 |
| ვანკუვერი | 19 | 63 | 23,2 |
| გოლდენ სტეიტი | 19 | 63 | 23,2 |
| კლიპერსი | 17 | 65 | 20,7 |
| დენვერი | 11 | 71 | 13,4 |

*შენიშვნა: გამოყოფილია პლეი-ოფში გასული გუნდები.*



70



100-101



95-115



116-73



103-127

**თარაზულად:** საფეხბურთო კლუბები — 1. საქართველოსი, 19,84. იტალიის, 129. ინგლისის; 3. „ინტერის“ არგენტინელი ფეხბურთელი, 8. ელვისებური თამაში ჭადრაკში, 13-14. ბელარუსი ტანმოვარჯიშე, ბარსელონას ოლიმპიადის ექვსგზის ჩემპიონი, 17-18. „ფორმულა-1“-ის გამოჩენილი ფრანგი პილოტი, 31-32, ურუგვაელი ფეხბურთელი, 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 35. ფეხბურთელი, მადრიდის „რეალის“ მეკარე, 4-50. ფეხბურთელი, „ინტერის“ მცველი, 51-52. ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამის ერთ-ერთი სახეობა, 53. ბოლო წლების მსოფლიოს რჩეული ფეხბურთელი, 61. გამოჩენილი ქართველი საფეხბურთო მწვრთნელი, 64. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო გუნდის მეკარე 50-იან წლებში. 67. ცნობილი ქართველი მწვრთნელი კალათბურთში, 70. ფეხბურთელი, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე *(ფოტო)*, 79-81. „ფორმულა-1“-ის ავსტრიელი პილოტი, 82-83. 60-70-იანი წლების ცნობილი ბულგარელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 100-101. რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი *(ფოტო)*, 104. „ფორმულა-1“-ის კანადელი პილოტი, 117-118. 1978-79 წლების ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, 119. დროის პერიოდი კრივში. 122. სპორტული ნაგებობა, 123-124. პოლონელი მძლეოსანი, მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, 128. 1974 წლის „ოქროს ბუცის“ მფლობელი.

**შვეულად:** 1. წარსულში გამოჩენილი ქართველი მოფარიკავე, 2-32. ურუგვაელი ფორვარდი, 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 3-35. მძლეოსნობის ერთ-ერთი სახეობა, 4. ახლო წარსულში ცნობილი შვედი ჩოგბურთელი. 9.40. ოლიმპიური კლასის იალქნიანი ნავი, 10. წარსულში ცნობილი ქართველი ძიუდოისტი, 11. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის 1957-58 წლებში, 12-41. „ალანიას“ მწვრთნელი, 21. მძლეოსნური ინვენტარი, 22. რუსი მძლეოსანი ქალი, ორი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ხუთჭიდსა და 80 მეტრზე თარჯრბენში, 42-62 „პარმას“ არგენტინელი ფეხბურთელი, 43-66. გერმანელი მოცურავე ქალი, მონრეალის ოლიმპიადის ოთხგზის ჩემპიონი, 44-86. ბილბაოს „ატლეტიკის“ მწვრთნელი, 47-89. წარსულში ცნობილი თბილისელი ხელბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, 68. სატანვარჯიშო იარაღი, 72. წარსულში გამოჩენილი ავსტრალიელი სტაიერი, 90. ავსტრიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე 70-80-იან წლებში, 91. 1994 წელს ტრაგიკულად დაღუპული კოლუმბიელი ფეხბურთელი, 92-114. მარსელის „ოლიმპიკის“ მეკარე; საფეხბურთო კლუბები — 93. ნორვეგიის, 101. იტალიის; 94. ზაფხულის IV და XIV ოლიმპიადების მასპინძელი ქალაქი, 95-115. ახალზელანდიელი მორბენალი, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ჩემპიონი *(ფოტო)*, 100. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის, 104. რუსი ძალოსანი, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი მძიმე წონაში, 105. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე 60-იან წლებში.

**დიაგონალურად:** 23-45. ავსტრალიელი მორბენალი, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი, 5-33. აღმოსავლური ორთაბრძოლა, 16-59 „კაიზერი ფრანცი“; საფეხბურთო კლუბები — 7-37. ავსტრიის, 57-39. კვიპროსის, 77-99. ბრაზილიის, 88-113. იტალიის; 36-56. ლეგენდარული ესპანელი მეკარე, 49-24. სადებიუტო სტრატეგია ჭადრაკში, 55-25. წარსულში ცნობილი ფრანგი ველომრბოლი, 63-26. ცნობილი რუსი ჩოგბურთელი ქალი, შემდგომში სპორტული კომენტატორი, 46-30. ინგლისელი დიდოსტატი, 34-6. „ბაიერნის“ ბრაზილიელი ფეხბურთელი, 6-20. ანტიკური ოლიმპიადების თამაშების ჭიდაობისა და კრივისმაგვარი სახეობა, 38-15. „აიაქსის“ მწვრთნელი, 29-54. ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 28-58. სახელგანთქმული ქართველი მთამსვლელი, 27-65. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 69-109. ქართველი მოჭიდავე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 75-108. ამერიკელი დიდოსტატი, 80-107. სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი საქართველოში, 96-76. წარსულში გამოჩენილი ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი, 121-98. ფრანგი მორბენალი ქალი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 116-83. რუსი დიდოსტატი ვაჟი *(ფოტო)*, 126-102. ამერიკელი მოცურავე, 8. ოქროს ოლიმპიური მედლის მფლობელი, 106-87. გამოჩენილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 110-71. „მილანის“ მეპატრონე და პრეზიდენტი, 111-78. ფრანგი ველომრბოლი, „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის ჩემპიონი, 112-85. „იუვენტუსის“ ფრანგი ფეხბურთელი, 98-125. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის 1972-75 წლებში, 74-120. მოსკოვური კლუბებისა და სსრ კავშირის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე, 103-127. „აიაქსის“ მცველი *(ფოტო)*

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. დეშამპი, 5. ვალდანო, 6. შტილიკე, 11. სიეტლი, 12. „მერანი“, 18. ჩიგორინი, 19. გუი, 20. კონსილია, 23. კრაიოვეანუ, 26 კრიკეტი, 28. პროსინეჩკი, 31. რიოსი, 32. კოვტუნი, 33. „ოსასუნა“, 34. სიომა, 37. ვეა, 38. კარეკა, 39. ედინიო, 40. ჩეა, 43. სკიაფინო, 45. საბატინი.

**შვეულად:** 1. გვარდიოლა, 2. დესაი, 3. იპონი, 7. ტალი, 8. კრეე, 9. დეინა, 10. კანოე, 13. კიევი, 14. კოკა, 15. ბუბკა, 16. ზიტო, 17. ლივიო, 21. პირსი, 22. შელია, 24. როიტერი, 25. ნოვაკი, 26. კანუ, 27. ინსი, 29. რაუნდი, 30. კემპესი, 35. ბარნსი, 36. ზიდანი, 41. აფრა, 42. ბაჯო, 44. კია, 46. ნოა.

## შოთა წერეთელი



საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ამაგდართა რიგებს კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ადამიანი გამოაკლდა — 68 წლისა გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი შოთა წერეთელი.

სპორტს სასკოლო ასაკიდანვე ეზიარა, მაგრამ საბოლოო არჩევანი ძალოსნობაზე შეაჩერა. მისი პირველი და ერთადერთი მწვრთნელი იყო მრავალი სახელოვანი ათლეტის აღმზრდელი დიმიტრი კაპცოვი.

შოთა წერეთელი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი გახდა. საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში წარმატებით გამოდიოდა სსრ კავშირის ჩემპიონატებსა და ხალხთა სპარტაკიადებში. განსაკუთრებით ნაყოფიერი და სასარგებლო აღმოჩნდა მისი საწვრთნელო მოღვაწეობა. ჯერ კიდევ მოქმედი სპორტსმენი იყო, შეგირდები რომ აიყვანა. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. 1957 წლიდან რესპუბლიკის ძალოსანთა ნაკრები გუნდის მწვრთნელად მუშაობდა, 1969-1992 წლებში კი მისი უფროსი მწვრთნელი იყო, რაც თავისებური რეკორდია. ამდენ ხანს (23 წელი) საქართველოს ძალოსნობაში უფროს მწვრთნელად არავის უმუშავია. 1968-1974 წლებში კი მიწვეული იყო მწვრთნელად საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში.

შოთა წერეთლის ხელმძღვანელობით გაიარა სპორტული დიდების გზა ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორმა დიტო შანიძემ, ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორმა და რეკორდსმენმა ალექსანდრე ჯეჯელავამ, ვლადიმერ კაზანჯიანმა, რომელმაც საქართველოში ძალოსნურ სამჭიდში პირველმა დაძლია 500 კგ. სსრ კავშირის ჩემპიონმა ახალგაზრდებში ნუგზარ პაპიძემ... საერთოდ კი, აღზარდა 30-ზე მეტი სპორტის ოსტატი და ესეც თავისებური რეკორდი იყო. დიდია მისი წვლილი ფედერაციის მუშაობაშიც. 1960 წლიდან იყო ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის უცვლელი წევრი. პირად ცხოვრებაშიც გამორჩეული პიროვნება გახლდათ. აწ განსვენებულ მეუღლესთან ქ-ნ აელიტასთან ერთად ბრწყინვალე ოჯახი შექმნა, სამშობლოს ორი საუკეთესო შვილი აღუზარდა, ხარობდა ოთხი შვილიშვილით. კეთილი ბუნების, მრავალი პიროვნული ღირსებით შემკულ ამ კაცს, აფასებდნენ და პატივს სცემდნენ კოლეგები, აღსაზრდელები და აღზრდილები, საერთოდ, ყველა, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონია.

ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი წავიდა შოთა წერეთელი ამ ქვეყნიდან. მისი ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულებში.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია

---

საქართველოს ვეტერან სპორტსმენთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

შოთა წერეთლის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე